2.2

1922 წ. № 1. 2. 3.
სახელმწ. გამომც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

		გვერ.
1.	დების სიყვარული — სურათი	2
2.	ზამთარში — ლექსი ი. მჭედლიშვილისა	3
3.	ისრაილა. — ი. მჭედლიშვილისა	4
4.	ლეგენდა — ლექსად — გ. ქუჩიშვილისა	10
5.	პატიოსანი სიტყვა — ფრანგულიდან ან. წერეთლისა	15
6.	სასწაული. (ალჟირელთა სახალხო თქმულება) პარ. გოთუასი	21
7.	ყვითელი ფერი — ლექსი მიმქრალისა	29
8.	ჩვენი სამშობლოს წყლები. მდინარე თერგი. (გაგრძელება) დ. ხუციშვილისა	30
9.	გაზაფხული — ლექსი კოლელიშვილისა	37
10.	თედო რაზიკაშვილი. ნეკროლოგი. — ია ეკალაძისა .	39
11.	იის ფოთლებზე — ლექსი სეზმა ერთაწმინდელისა .	43
12.	მცენარეთა ძილი — ელენესი	44
13.	თეთრი პეპელა — თარგმანი ეკ. გაბაშვილისა . . .	49
14.	ივანიკას ჯავრი. (ვასართობი) დ. ნახუცრიშვილისა.	54
15.	წვრილმანი: შარადა, რებუსი	55

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იბარდე მეგობარ ჯოჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!

— ★ ი. დ.

იანვარი, თებერვალი და მარტი 1922 წ.

წელიწადი მეოცდაცამეტე.

ტფილისი

პოლიგრაფ. განყ. მე-3 სტამბა. № 356—3000.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დების სიყვარული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზამთარში.

ახურავს ჩამოეკიდა
გრძელ ყინულების წვერები
და შეიგრუზა ჭაღარით
ტყით დახურული სერები.
ბარად ჩამოდის კურდღელი,
ისმის ღმუილი მგელისა
და შფოთიანობს გრიგალი,
ბატონ-პატრონი ველისა.
შფოთავს და დაარბეინებს
შავი ღრუბლების ჯარებსა,
ხან გადარეკავს მინდვრებზე,
ხან მთებში დააჯარებსა.
გარედ დარჩენილ მაშვრალსა
ძალიან გაამწარებსა,
თუ კი არავინ შეივრდომს,
არავინ შეიფარებსა!..
სახლში კი ლხინობს ბუხარი:
დასთბი, დატკბი და იამე,
მოხუცს ღიმილად გადმოსდის
გულში მდებარი სიამე.
თავს ადევს ღვთიურ ჭაღარად
კაი-კაცობა, ჭკვა, შრომა
და ფიქრობს: ნეტავ გაათბოს
ქვეყანა ჩემმა ნაშრომმა...

ი. მჭედლიშვილი.

ისრაილა.

წორედ იმ დროს, როცა ძალზე ჰყინავდა, რამდენჯერმე ჰნახა სკოლაში გავლის დროს ლევანმა მოხუცი ისრაილა, რომელსაც მოეკვეცნა კუკიის ხიდის თავში და ჰყიდდა წინდებს და სხვა წვრილმანს. ისრაილას მოხუცი სახე: ჭალარა თმა, მრავალ გაჭირვებისაგან დანაოჭებული შუბლი და საწყლური, საბრალო გამომეტყველება ვერ იქცევდა გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას და იგი იძულებული იყო ყველასათვის მიემართა:

— ძმობილო, კარგი წინდებია, იაფია, თბილია, იყიდეთ.

— ლევანმა გაიარა და, როცა ისრაილამ მოაბეზრა—თავაზით, მიბრუნდა და ჰკითხა:

— როგორ წინდები?

— სამი-და-ათი შაური.

— უჰ, ძალიან ძვირია! სთქვა ლევანმა და გასწია სკოლისაკენ.

მოხუც ისრაილას ისეთი გამომეტყველება ჰქონდა სახეზე, თითქო დიდ უფსკრულში ვარდება და შეშინებული ყვირის, მიშველეთ, მიშველეთო:

— იყიდეთ, იყიდეთ, ძალიან კარგი საქონელია!—იძახდა იგი, მაგრამ არავინა ყიდულობდა.

ლევანმა ისევ გამოიარა სკოლიდან.

— იყიდეთ, ყმაწვილო!—უთხრა ლევანს ისრაილამ ისეთი კილოთი, რომ ეტყობოდა, ახსოვდა ლევანი, რომელიც დილით შეევაჭრა.

— მაინც როგორ?—ჰკითხა ლევანმა.

— სამი-და-ხუთი შაური.

— არა, ორ და ათ შაურად მომე, — უთხრა ლევანმა და გამობრუნდა.

რო დაატყო ისრაილამ, ლევანი მიდიოდა, მიაბრუნა და მისცა ორ და ათ შაურად.

როცა ლევანს თავის ამხანაგმა უთხრა, — ცოდო არ იყო, რისთვის დაუკელი მაგდენი იმ საწყალ კაცსაო, ლევანმა მიუგო:

— ვინ იცის, ჩვენ ეგრე საწყლად გვაჩვენებს თავს და იქნება მილიონერიც იყოს!

ამხანაგი დაფიქრდა და შემდეგ სთქვა:

— შენ არა გცოდნია ადამიანის სახეზე სინამდვილის ამოკითხვა, თორემ იგი მართლა საწყალი ადამიანია. ვინ

იცის, იქნებ ბევრად უფრო ნაკლებ ფასად მოეცა ეგ წინდები, მხოლოდ იმისთვის, რომ როგორმე გაეყიდნა...

ლევანი და მისი ამხანაგი დაფიქრებულები მივიდნენ სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოთი ისრაილაც მივიდა სახლში.

ცოტა პური შეჭამა და შემდეგ მიწვა ჭილობზე.

მისი სახლი მეტად მარტივი იყო:

სარდაფი, შიგ ერთი სკამი, ერთი მაგიდა და სხვა არაფერი. საშინლადა ციოდა. მოხუცს კბილები უძაგძაგებდა და თითონაც კანკალებდა.

ასეთსავე მდგომარეობაში იყო მისი ორი შვილი, ობლები, რომელთაც დედა დიდი ხანი არ იყო მოჰკლოდათ.



— კარგი, მაგრამ როცა სულ გავყიდი, მერე რიღათი უნდა შევიძინო საქონელი? ამბობდა გულში ისრაილა: —

საკვირველია, რომ ხალხს არ უნდა ჩემგან იყიდოს რამე და თუ მოინდომა, სულ მუქთად უნდა. როცა მყიდველი სამჯერ უფრო იაფად წაღებულ საქონელში ფულს მაძლევს, ისე იქცევა თითქო მოწყალება გაიღოო. რათ არის ასე?— ჰკითხავდა ისრაილა თავის თავს.—რათ არის ასე, რომ ჩემთან იაფად ყიდვა მოწყალება ჰგონიათ და დიდ მაღაზიაში ბევრად უვარგისის უფრო ძვირად ყიდვა კი წესიერებად? გადმომხედე მოწყალებითა შენითა მაღალო ღმერთო!—დაათავა ისრაილამ და ჩაეძინა.

სიზმარში უცნაური რამ ჰნახა:

თურმე კუკიის ხიდს იქით დიდი მაღაზია აქვს და შიგა ვაჭრობს. მისი ვაჭრობა იმითია განთქმული, რომ ყველაზე



კარგი საქონელი აქვს და ყველაზე იაფად ჰყიდის. მუშტარი სულ იმასთან მიდის. სხვა ვაჭრები ძალიან გამწარებულნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან და არ იციან, რა ჰქნან. ისრაილა კი გამოვა და ნიშნს მიუგებს ყველას: რა ჩემი ბრალია, რომ მე კეთილი მოვაჭრე ვარო.

ამ დროს მივა ვილაცა სქელი კაცი და დაელაპარაკება ისრაილას. ლაპარაკის დროს იმ სქელ კაცს პირიდან დორბლი გადმოჰვარდება და ის დორბლი გველად იქცევა. ისრაილა შეხტება შიშისაგან და გამოელვიძება:

— მოსე, მოსე!—დაუძახა თავის შვილს.

მოსემ გამოიღვიძა.

— მოიტა, შვილო, ჩემი კალათა, გათენებულა, უნდა წავიდე სავაჭროდ.

ისევ ჰყინავდა და ისრაილა ისევ იქ იჯდა, კუკიის ხიდთან.

ხალხს ეხვეწებოდა, იყიდეთ ჩემი საქონელიო. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულქვაა და გულცივი ხალხი: მას ან მილიონერი ეგონა ისრაილა, ან არა კადრულობდა მისგან ყიდვას.

ისრაილა კი ისევ ეხვეწებოდა ხალხს:

— იყიდეთ! მამაშვილობას იყიდეთ! ძალიან კარგი საქონელია.

თან ძაგძაგებდა, სცოდა და სიცივისაგან მორეული ცრემლი ლოყაზე ეყინებოდა.

— იყიდეთ, იყიდეთ!—ამბობდა იგი, ხოლო სახეზე ეწერა საშინელი ღელვა, შფოთვა.

გაიარა რამდენიმე წელიწადმა.

ისევა ჰყინავდა.

ისრაილა ისევ კუკიის ხიდის თავში იჯდა ფეხმორთხმით, ხელი გაეშვირა სამათხოვროდ და ემუდარებოდა ხალხს:

— მოიღეთ მოწყალება, ღმერთია თქვენი მშველელი!

მისი სახე სრულიად დამშვიდებული იყო.

იგი მთლად დაჰმორჩილებოდა ბედს: როგორც მონა და მორჩილი უკუღმართ ცხოვრებისა, დამშვიდებული იჯდა და ხელ გამოშეერილი იძახდა მხოლოდ ორ სიტყვას:

„მოიღეთ მოწყალებაო“.

ამ დროს ისევ იქით გაიარეს ლევანმა და მისმა ამხანაგმა.

ლევანმა დაინახა სამათხოვროდ ხელ-გაშვერილი ისრაილა და სთქვა:

— რა უგულო ყოფილა ადამიანი! სანამ არ დაეცა იგი, სულ მეგონა, რომ იმ მცირედი ვაჭრობით მილიონებს იგებდა!

მიდის დღე, თვე, წელიწადი და ისრაილა სულ იქა ზის კუკიის ხიდის თავში, ხოლო ლევანი, რომელსაც ერთ დროს ისრაილა მილიონერი ეგონა, მიდის მასთან და ყოველდღე აძლევს მისთვის გადადებულ საჩუქარს.

ნეტავ კი იცოდეს ლევანმა:

„ახსოვს თუ არა ისრაილას, რომ ლევანი ერთდროს თხუთმეტი შაუოისთვის ევაჭრებოდა მას“?..

ი. მჭედლიშვილი.



ლეგენდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გებრალებოდეთ, ნუ მოჰკლავთ
ირემსა, ჯიღა-რქიანსა,
მთათა და ტყეთა შვენებას,
უწყინარსა და ღვთიანსა,
თორემ ინანებთ, ძმობამ,
თვით შეეყრებით ზიანსა.

ბ. ქ.

1

წინდელს დროში,
ამ საწუთროში
სცხოვრობდა თურმე
ერთი გლეხ-კაცი;
მას ორი ვაჟი
ჰყავდა, უყვარდა,
ორივ წარმტაცი,
ორივ მამაცი.
ყველას სმენოდა,
ყველამ იცოდა
ხსენებულ ძმათა
ფიცი, პირობა;
სიმღერებშიაც
ქებით ისმოდა
მათი სახელი,
მათი გმირობა.
უმათოდ ლხინი
არ იქნებოდა,
გასაჭირშიაც
მზათ იყვნენ ძმები;
თოფ-იარაღიც
არ ჟანგდებოდა,
ილესებოდა
საომრად ხმლები.
რა წამსაც ბრძოლა
გაჩაღდებოდა
მყის იქ ჩნდებოდნენ
ეს ლომ-გულები;
რაზმს ამხნევებდნენ,
ასალკლდევებდნენ,
მათი ყიჟინით
დრკებოდნენ მტრები.
ხელ-ჩართულ ომში
ბევრი მოუკლავთ,
ბევრიც ცხვრებივით
დაუფრენიათ;
შთამომავლობით
გადმონაცემი
სახელი არსად
შეურცხვენიათ.

2

დღეს ერთაწმინდა
ჰქვიან იმ სოფელს,
სოფელს მშვენიერს,
ბუნებით მდიდარს;
დაღლილი სულის
მყუდრო სამყოფელს,
ფიქრთა უკუმყრელს
და დამამშვიდარს.
გარემო მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილოვანი
ისე ატყვევებს
მნახველის თვალსა,
რომ ერთი მგზავრიც
ვერ გაუძარცვავს
იქ ჩასაფრებულს
მარჯვე ფირალსა.

3

აი, ამ სოფელ
ერთაწმინდაში
სცხოვრობდა თურმე
გლეხ-კაცი იგი
და მის ოჯახში
კანონათ იყო
იმისი სიტყვა,
რჩევა, წეს-რიგი.
ვაჟიშვილებიც
ამ ჩვეულებას
არასოდეს არ
ეურჩებოდნენ;
მოხუცი მამის
ყოველ ბრძანებას
მყის უყოყმანოდ
შეუდგებოდნენ.
და აი ერთხელ,
ადრიან დილით,
მამამ ვაჟკაცებს
უთხრა ღიმილით:
ბიჭებო, დღეს ხომ
საქმე არა გაქვთ
და ნუ დაჰკარგავთ
დროს უაზროთა;
მოდით, გადიგდეთ
თოფ-იარაღი
და წადით ტყეში
სანადიროთა.
ადგნენ, შენაყრდნენ
ორივე ძმები,
გადაიკიდეს
თოფები მხარზე
ადგა წავიდეთ!—
უთხრეს ერთმანეთს
და გამოვიდნენ
მოხდენით კარზე.
მათი შეხედვა
ერთ რამედ ღირდა,
ვერც კი იტყოდი
რომელი სჯობდა:
ორივ კისკასი,
ორივ ძვირფასი,
მშობელი მათ მსგავსს
ძვირადღა ჰშობდა.

4.

მიდიან ძმები,
თვალ-ტანადები,
მიდიან როგორც
მთის ჯეირნები.
მიდიან, ძმურად
მიიმღერიან,
გზაში ყველანი
მათ შესცქერიან.
—თქვენი ბიჭობის
ჭირიმე, თქვენი!—
გაიძახოდნენ
ყმაწვილ-ბიჭები
და გულ-მხურვალე
ლოცვა-კურთხევით
გზას ულოცავდნენ
ღრმად მოხუცები.

5.

ძმები გუგუნით
გასცილდნენ სოფელს
ხმა კი შორით-შორს
იკარგებოდა;
მზესა დიდებულს
და ცხოველ-მყოფელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ლრუბელი
ეხუტებოდა,
ცრემლების წვიმად
ძირს ეშვებოდა
და დედამიწას
საკინძ-გადახსნილს
ციურ მანანად
ესხურებოდა

6.

ძმებმა სიმღერით
გადაიარეს
სოფლის შვენება,
პატარა სერი;
გადაიარეს,
კიდევ იარეს
და დაინახეს
ტყე მშვენიერი.
შეჩერდნენ, დასტკბნენ,
გულით იხარეს,
დაჰკრეს სიმღერა,
ფეხს აუჩქარეს.
მიუახლოვდნენ
დაბურულ ტყესა,
მცურავმა *) გზაზე
გადაურბინათ.
სთქვეს: ცუდათა გვაქვს
დაცდილი ესა. —
დაღონდნენ, თითქოს
გულზე უკბინათ.
შეფიქრდნენ, მაგრამ
მაინც შევიდნენ
კარავად შეკრულ
შეფოთლილ ტყეში.
რა იქნებოდა
ნეტავ იმაზე
ულამაზესი
და უტურფესი?
ყვავილთა ფშვენა
ნიავის ფრენა
წყაროს ჩხრიალი,
ფრინველთა სტვენა
ვიშ, აღტაცებავ,
ვიშ, ნეტარებავ, —
ცა-დედამიწის
ლხენაა, ლხენა!!

7.

ფეხ-აკრეფილნი,
ყურ-დაცქვეტილნი,
დაშორდნენ ძმები.
ხმა-გაკმენდილნი
დგანან უძრავად,
სულ-განაბულნი,
მოუთმენლობით
უღელავთ გული,
და, აი, კიდეც
გამოჩნდა რქებით
ლაღი ირემი,
შვენებით სრული
გამოჩნდა, შედგა.
ელვაზე მალი
ორივე თვალი
მოჰკრა იქ მტერსა;
იბრუნა პირი,
შიშით დამფრთხალი
ამოეფარა იქვე ერთ ხესა.
იხუვლა თოფმა.
ასცდა ირემსა.
ის ლაწა-ლუწით
ეკვეთა ტყესა.
განიჭნა ბოლი,
ვით ნისლის ზოლი,
დაყრუვდა ყველა,
გაისმა კვნესა.
შეკრთა ვაჟკაცი
და უმცროს ძმისკენ
გაქანდა მყისვე

*) გველმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულ-შემოყრილი.
მივიდა ახლოს.
თქვენს მტერს
და დუშმანს,
რაც მას იქ დაჰხვდა
წინ გადაშლილი:
უფროს ძმისაგან
ნასროლი ტყვიით
ეგდო უმცროსი,
მკერდში დაჭრილი
მიწასა ჰგლეჯდა
გამწარებული,
სიკვდილს ებრძოდა
სისხლში მოსვრილი.
—ვაი მე, ძმაო!—
ერთი შეჰბღავლა
უფროსმა უმცროსს
დაკოდილ ძმასა
და ძირს დაეცა
ცნობა-მიხდილი,
ველარა სძრავდა,
საბრალო, ხმასა.

8.

გონზე მოვიდა,
მოსულიერდა.
გამოახილა
ორივე თვალი.
ადგა, ბარბაცით
მივიდა ძმასთან
და აიყვანა
ხელში საწყალი.
გამოუთქმელი
მწუხარებისგან
ვაჟკაცს თვალები
უბნელდებოდა;
გულს იმაგრებდა,
ლონეს იკრებდა,
მაგრამ მუხლები
ეკეცებოდა.
მას დაჭრილი ძმა
მიჰყავდა ქვევით,
სადაც მთის წყარო
ეგულებოდა;
მაგრამ ამაო
იყო ყოველი,
სიცოცხლის ძაფი
უკვე სწყდებოდა.
ჰგრძნობდა უფროსი
უბედურებას,
იტანჯებოდა,
იქეჯნებოდა,
მაგრამ წუთითაც
არა დგებოდა,
ფეხს უჩქარებდა,
იხვითქებოდა.

9.

ვერ მიაღწია
მან ცივ წყარომდე,
ძმამ ძმის მკლავებზე
დალია სული,
ძლივს მიიტანა
კოპწია ველზე
და დაასვენა
მიცვალებული.
—ვაიმე, ძმაო, ვაიმე!—
ძმა ძმის ცხედარზე
ყვიროდა;
გულში ნადული ცრემ-
ლებით
ასე მოსთქვამდა, სტიროდა:
—ვაიმე, ძმაო, ვაიმე,
მოკლულო ჩემის ხელითა,
უშენოთ თუღა ვიცოც-
ხლო,
ძაღლებრ მათრიონ წნე-
ლითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლებო, თქვენსა ვაჟ-
კაცებს
ტყუილად ნულარ ელითა...
სთქვა და ღმუილით დაემხო
გვამსა საყვარელ მკვდრი-
სასა.

დაემშვიდობა, დაჰკოცნა,
თოფს ხელი სტაცა ძმისასა,
ლულაზე შუბლი დაადო
ჩახმახს გამოჰკრა ფეხითა,
გავარდა, მკვდარი დაეცა,
ვით მუხა, დაკრულ მეხითა.
ორი ლამაზი ვაჟკაცი,
ლამაზი მთების კვნესითა,
ისუდრებოდნენ ნისლებით,
ბუნების გლოვა-წვესითა.

10.

ჩოჩქოლი ატყდა სოფელში,
ისმის ძახილი გზირისა;
რჩეულ ჭაბუკთა დალუპვას
ყველა ნანობს და სტირის.

11.

მოხუც მშობლებზე ამბობენ:
ველარ მოსულან ჭკვაზეო,
ტყეში წასულან, შეშლილან
მკვდარ შვილთა დანახვაზეო.
თვით გაუთხრიათ საფლავი
ორივე ვაჟისთვინაო,
იქ ატარებენ დღე-ღამეს,
იქ დაუდვიათ ბინაო,
ალარც ხალხს ეჩვენებიან,
ალარც მოდიან შინაო,
დაყრუვდა მათი ოჯახი,
სიცოცხლემ დაიძინაო,
შიგ ღამემ დაისადგურა,
ფარდაგი დაიფინაო,
ბუმ დაიკივლა საზარლად,
ოთახმა დაიგმინაო...

გ. ქუჩიშვილი.

პატიოსანი სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მათხოვე, გიგო, ეგ შენი წიგნი!

— არ შემიძლიან.

— გთხოვ მათხოვო!

— გეუბნები, არ შემიძლიან.

— რატომ არ გინდა, მათხოვო?

— გაიგე, იმიტომ კი არა, რომ არ მინდოდეს, მინდა, მაგრამ არ შემიძლიან.

— მაინც რატომ?

— იმიტომ რომ... ჩემი ბიძაშვილი მოვა ხვალ საღამოზე ჩემთან, უსათუოდ უნდა ეუჩვენო ჩემი საჩუქარი.

— კარგი, მაშ ხვალამდის მათხოვე.

— დრო არ მექნება, რომ წიგნი შენგან წამოვიღო.

— მე თვითონ მოგიტან.

— საღამომდის?

— საღამომდის.

— ნამდვილად?

— ნამდვილად.

— მპირდები?

— გპირდები.

— სიტყვას მაძლევ?

— სიტყვას გაძლევ... პატიოსან სიტყვას!

— კარგი, აი დაიჭი. გახსოვდეს, რომ სიტყვა მოგიცია?

— ხვალამდის. მადლობელი ვარ!

ასე იყო ნათქვამი წინა საღამოს, როდესაც ამხანაგები ერთმანეთს გაშორდნენ.

ამიტომაც იყო, რომ როდესაც ვასომ გაათავა თავისი საქმეები, მოიტაცა სანატრელი წიგნი და გაქრა, გაიქცა საჩქაროთ ბაღის ერთ მიყრუებულ კუნჭულში, რომ მარტო ყოფილიყო და არავის შეეშალა მისთვის ხელი. იქ მყუდრო, შეფოთლილი ფანჩატური ამოარჩია, ხის სკამზე ჩამოჯდა, ორივე მკლავით მაგიდას დაებჯინა, ხელები შუბლზე მიიდო, წიგნი გადაშალა, და ჩვენმა ვასომ ასე სრული ორი საათი გაუნძრევლად კითხვაში გაატარა...

არ ვიცი, რა წიგნი იყო, რომ მკითხველი არ ინძრეოდა. არა ერთხელ შეატყობდით, რომ თვალები უბრწყინავდა, ტუჩებზე ღიმილი მოსდიოდა. ერთ ხანს თვალებიდან ცრემლებიც-კი გადმოყარა. მერე რომ იცოდეთ, რა მწუხარებით გადაშალა უკანასკნელი ფურცელი. ხომ იცით, რა სამწუხაროა როდესაც მშვენიერი ამბავი თავდება?

ვასოს ჯერ არ დაეხურა წიგნი, რომ ორმა მხიარულმა და გაბედულმა ყმაწვილმა შეფოთლილ ღობიდან თავი შემოჰყო.

— ვასო! ვასო!

— რა არი? რა ამბავია? გამარჯვება, ლიზა!

— ჩვენ შენ საძებნელად მოვედით. გაგვიღე კარი.

ყმაწვილი მიუახლოვდა იმათ და შეიტყო, რაშიაც იყო საქმე.

ჩემო პატარა ვასო!—ეუბნებოდა მეზობელი ქალი ლამაზი ლიზა,—ჩვენ გამოგგზავნეს შენთან რადგან სტუმრობას ვმართავთ. პავლე, რეზო და ევგენი კიდეც მოვიდნენ, ლუარსაბიც, მისი ძმაც... ჩვენები საუზმეს ამზადებენ. ჩემი უფროსი ძმა სკრიპკას დაჭკრავს და ჩვენ ვიხტუნავებთ, ვიცეკვავებთ. წამო ჩქარა, გველიან.

— არ შემიძლიან.

— მერე უნდა დიდი ამბით მთელ სახლს გარშემო შემოუაროთ! წამო ჩქარა!

— ვერ წამოვალ!

— რატომ?

— უნდა წიგნი მიუტანო გიგას.

— იმასთან ხვალ წადი.

— იმას წიგნი საღამოს ესაჭიროება.

— არა უშავს რა, მოგიცდის.

— მომელის, რომ მივუტანო.

— უფრო კარგი! არა, მარო? უნდა წამოვიდეს ჩვენთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავპირდი, რომ წიგნს მივუტან.

— მერე ჩვენი პავლე ხომ მოგელის!

— სიტყვა მივეცი.

— მარგარიტა გიცდის.

— პატიოსანი სიტყვა მივეცი!

რა დროს გატარებას მოსცდა ჩვენი ვასო: მშვენიერი საუზმე, ტკბილეულობა ბლომათ, ცეკვა, ხტომა, სამწუხაროთ ყველაფერ ამაებს მოაკლდა. ვასოს ძალიან უყვარდა თავის ამხანაგებში მხიარულობა, დროს გატარება. მერე რანაირად ესიამოვნებოდა პავლესთან და თავის ლამაზ ბიძაშვილ მარგარიტასთან დროს გატარება! დიდ განსაცდელში ჩავარდა, მაგრამ ვასო ერთ წამსაც არ შეკრთა.

— არ შემიძლიან, არ შემიძლიან! იმეორებდა ის. — სიტყვა მივეცი და არ გავტეხ, ჩემ სიტყვას. რასაკვირველია, საწყენად მრჩება. ადრევე რომ მცოდნოდა, ხაქმე სხვანაირად იქნებოდა. — მერე ბოლოს დაუმატა, — უჩემოთ გაატარეთ დრო, პავლე და მარგარიტა მომიკითხეთ, ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა!..

— რას იფიქრებს შენზე პავლიკა?

— ისიც ჩემსავით მოიქცეოდა.

— მარგარიტა იტყვის, სხვაზე გაგვცვალაო.

— სჯობია ახლავე წავიდე გიგასთან, — წამოიძახა ვასომ მოუთმენლათ. — თორემ თუ დავრჩი, სრულებით დავრჩები. მივრბივარ, დროა! გიგა ხომ კარგა შორს არის აქედან, კაი ერთი ნახევარი მილი იქნება იქამდის. მშვიდობით მადლობელი ვარ... იქეიფეთ, დრო კარგა გაატარეთ!

III.

მიდის ვასო, მირბის ბილიკით. იღლიის ქვეშ წიგნ ამოჩრილი, ცდილობს დაივიწყოს, რომ არ ესტეფრა მეზობლებს, დარდი გადიყაროს, გაერთოს. ვერც-კი შეამჩნია, რომ მზე ჩასვლაზე იყო, იგი ერთბაშათ მიიმალა კიდეც, წამს დაბნელდა.

მაშინ კი ვასომ თვალები მაღლა ასწია და ხეებს ზემოთ დაინახა ცაზე დიდი შავი ღრუბელი, რომელიც ელვა — ქუხილს მოასწავებდა. „ნიაღვარი მოვა, უნდა გავეშურო!“ გაიფიქრა ვასომ და ფეხს აუჩქარა.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ შორიდან ქუხილის ხმა მოისმა. ჯერ შორს იყო ეს ხმა, მერე უფრო და უფრო ახლო ისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელვამ ღრუბელს გაჰკრა და ქუხილმა ზედ თავზე დასძახა.

ჩვენი ვასო მშიშარა არ იყო, არც იყო იმათგანი, ვინც მელნიც გაიგონებენ თუ არა ქუხილს, საბანს ქვეშ იმალებიან, მაგრამ სულ მარტოდ მარტო იყო სოფლის გზაზე, სახლს მიმოვლებული და გარშემო კი ელვა-ქუხილი; მგონი ძნელი იყო, რომ დამშვიდებული ყოფილიყო. შეეშინდა. სხვა დროს სახლისკენ გაიქცეოდა. ახლა-კი თავის თავს უთხრა: „დაპირებული ვარ და უნდა წავიდე!“ თავს ძალა დაატანა და ისევ გასწია.

მრისხანე ჭექა-ქუხილი იყო. შეუწყვეტელი ელვა ღრუბლებს ცაცხლში ახვევდა. საშინელი ქუხილის ხმა გაისმოდა, თითქოს ცა ახლავე ჩამოინგრევაო. ვასო მაინც არ შეჩერებულა. მიდიოდა.

მერე დიდი წვიმა დაუშვა, ნიაღვარი წამოვიდა, ლამობდა ყველაფრის წალეკას. გზები მდინარესავით გაუვალი გახდა.

ვასო ერთ დიდ ხეს ამოეფარა, მაგრამ ერთ წამს ხიდან ისე წამოვიდა წვიმა, რომ ყმაწვილი მთლათ გაიწუწა.

ცდილობდა წიგნი არ დასველებოდა, და ტანისამოსის ქვეშ ფარავდა. როგორც კი ნიაღვარმა ცოტა იკლო, ჩვენმა ყოჩაღმა ვასომ მიატოვა ხე და შეუდგა გზას მოკლე ბილიკით, რომელიც სველ და მოლიბყულ გზად ვაკეზე, პატარა ხიდთან, ჩადიოდა.

მაგრამ ჩავიდა თუ არა ვაკეზე საბრალო ვასო რაღამაც შეაყენა. ნაკადული, რომელიც ველზე მორბოდა, ნიაღვრის გამო ისე გადიდებულიყო, რომ მთლათ მდინარედ გადაქცეულიყო და ხიდი, რომელსაც ორი გადებული პატარა ფიცარი წარმოადგენდა, წყალ ქვეშ მოჰყოლოდა. რა ექნა უბედურს? ახლა კი, მგონი, უკან დაბრუნება მოუსდებოდა.

ვასო შედგა, ხელები ძირს ჩამოყარა, შეწუხებული წყალს შესცქეროდა — მოკრიეს, აჩქარებულს, ახმაურებულს.

ბოლოს ვადასწყვიტა:

„რაც იყოს — იყოს, გავალ!“

ფეხთსაცმელები გაიხადა, შალვარი მუხლებამდის აიკეცა და მერე გაბედვით შეტოპა წყალში. დიდი სიფრთხილით მიდიოდა, ფეხის დადგმას მაგრათ ცდილობდა. წყალს ხმაურობა გაჰქონდა, ქაფი ფეხებს უმალავდა, მერე მუხლებამდის ავიდა, მუხლებს ზემოთაც. ორჯერ-სამჯერ

ფეხი გაუსხლტ და, ეგონა, ეს ეს არი წაიქცეოდა და წყალი გაიტაცებდა.

ვასომ ხელ ახლა ღონე მოიკრიფა, წინ გაიწია, ... ბუჩქს, რომელიც მდინარის მეორე ნაპირას იყო. ბუჩქი ეკ-ლიანი გამოდგა და ხელები სისხლით მოესვარა...

„არა უშავსრა“, შესძახა მან ხმა მაღლა.

ვასომ ცოტა კიდევ გაიჭირა საქმე, ამოფოფხდა, ამოვიდა ზევით, მუხლების და ხელების შემწეობით გაჩნდა მეორე მხარეს, მაგრამ შესაძლო იყო აქაფებულ წყალს ისევ გაეტაც-ნა და დაეღუპა.

„ეს ყველაფერი გიგას წიგნის გულისთვის დამემართა“, სთქვა ვასომ, როდესაც გაწუწული ბალახებში ფეხზე დადგა.

მერე დაუმატა: „არა, ეს არც წიგნის ბრალია, არც გიგასი. მე არ მინდოდა სიტყვის გატეხა“.

მან ისევ ჩაიცვა ფეხთ, გაწურა შალვრის ტოტები და მეორე მხრის აღმართს შეუდგა. გზა იყო უსწორ-მასწორო და კლდიანი.

მაგრამ რა გაეწყობა! ცოტა კიდევ და მაღლობიდან გამოჩნდება სახლი. ამითი გათავდებოდა კიდეც მისი ტანჯვა

— მართალია მალე შივალ, სიტყვას ავასრულებ, — ფიქრობდა. ის სიარულის დროს — მაგრამ სახლში როდის ღა დავბრუნდები, გარს უნდა მოუარო, რომ წისქვილის ხიდით მივიდე შინ — არ მინდა კიდევ ამ საძაგელი გზით გავიარო. ის გზა-კი ერთი ორად გრძელია. ღამდება. უნდა გავიქცე. გავიქცევი, უფრო ადარ შემცივა.

IV.

შუადამე გადასულ იყო, როდესაც ვასო მივიდა სახლში. მაგრამ ძნელათ წარმოიდგენთ, რა მდგომარეობაში იყო: მთლათ სველი, წყალი ზედ ჩამოსდიოდა, შუბლზე თმები მიჰკროდა, მუხლებამდის ტალახში იყო გასვრილი. ფეხსაცმელებისაგან იატაკზე გუბეები დადგა. ხელები ეკლებისაგან დაკაწრული ჰქონდა და სისხლი ჯერ კიდევ წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა. უნდა გამოტეხილი ვთქვათ-არც ეგონა, რომ სახლში კარგად მიიღებდენ.

— საიდან მოდიხარ, შე უბედურო! — შეჰყვირა დედამ, როგორც კი დაინახა, — სად იყავი, რომ აგრე გაწუწულხარ?

ვასოს უნდოდა ეამბნა ყველაფერი, დაიწყო კიდეც თავისი თავ გადასავალი... მაგრამ დედამ მაშინვე შეაწყვეტი-ნა სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე მიამბე, ახლა საჭიროა საჩქაროთ ტანისამოსის გამოცვლაო. აბა, ჩქარა!

მართლაც რომ ტანისამოსის გამოცვლა ახლავე იყო საჭირო.

— გეფიცები, დედავ,—ამბობდა ჩვენი გმირი,—სულაც არა მცივა. სულ სირბილით მოვდიოდი.

ჯერ ტანისამოსი არც კი გამოეცვალა, რომ მამაც შემოვიდა.

— ეს რა ამბავია?—იკითხა იმან. განა შენ ჩვენ მეზობლებთან წვეულებაზე არ იყავი? იქ შადრევანში ხომ არ ჩავარდი? თქვი ჩქარა!

ყველაფერი სთქვა: რატომ არ წავიდა წვეულებაზე, ჰექა-ქუხილმა და ნიაღვარმა როგორ მოასწრო გზაზე, რა ვაი-ვაგლახით გადავიდა მდინარეზე, მერე რა გაჭირვებით დაბრუნდა წისქვილის მხრით.

— ვიცი, რო გამიჯავრდები, დაუმატა ტირილით ვასომ,— მაგრამ მე სხვა ფრიე ვერ მოვიქცეოდი, რადგან პატიოსანი სიტყვა მივეცი!

მამა არ გაუჯავრდა, პირიქით დაუყვავა. შვილს გადაეხვია და გულში ჩაიკრა.

— შენ მართალი ხარ, უთხრა, აგრე უნდა მოქცეულიყავი. როდესაც პატიოსან სიტყვას მისცემ—უნდა აასრულო კიდეც, რაც უნდა მოხდეს. მაგრამ კი უნდა გითხრა, სიტყვის მიცემა დაუფიქრებლათ არ შეიძლება, რადგან შესაძლოა მოულოდნელი შემთხვევა გადაეღობოს წინ. ამიტომ უნდა სთქვა, პატიოსან სიტყვას ავასრულებ, თუ მოულოდნელი მიზეზი არ დამიშლის.

(ფრანგულიდან).

ან. წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასწაული.

(ალჟირელთა სახალხო თქმულება)

ჟუჩის პირად ჯამეს კედელთან იჯდა ორი მაწანწალა: ერთი იყო ბენ იუსუფი, მეორე-სიდი აბკარი.

— დიდ არს ალლაჰ!—სთქვა ერთმა.

— დიდ არს ალლაჰ!—უპასუხა მეორემ.

— დაილოცა მისი სახელი, ჩვენ სულ დაგვივიწყა. დილიდან აქ ვზივართ, მოწყალება კი არავინ მოიღო.

— ვინ უნდა მოგვცეს! ქუჩა ცარიელია.

— შეხედე, ჩვენს ბედზე მოდის ღვთის მოყვარე ჰასან ბენაბდალლა, ის მაინც მოგვხედავს.

მალე ჩაიარა ჰასან ბენაბდალლამ. ისინი ვერცკი დაინახა. ღრმა ფიქრებში იყო გართული. ნელ-ნელა მიდიოდა მოედნისაკენ. მარცხენა ხელში ეჭირა ბაწარი და უკან მიჩაკუნებდა მისი ვირი.

— ალარც კი შეგვხედეს!

— ვირმა ხომ გამოიხედა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყურებიც დაგვიქნია.

— კარგად შევატყვე, გვეველრებოდა, წამიყვანეთ.

— ცხადია, განსაცდელი მოელის! უნდა დავიხსნათ პატრონისაგან. მაგრამ როგორ? ბაწარი მაგრად უჭირავს, მაშინვე შეგვიტყობს.

— დიდად ჩაფიქრებულია პატივცემული ბენ-აბდალლა. აზროვნებს ყურანის მაღალ სიტყვებზე. მე ისე ჩამოვართმევ ვირს, ვერაფერს შეგვიტყობს, სთქვა სიდი აბკარმა.

— ეს ხომ სასწაული იქნება! საშიშარია,—უპასუხა ბენ იუსუფმა.

— ნურაფრის გეშინია. იმ ვირს ახლავე ჩაგაბარებ; საჩქაროთ წაიყვანე ბაზარში, მალე გაჰყიდე; ფულები არ დახარჯო, მომიცადე დიდი მეჩითის გვერდში.

ამხანაგები წამოდგნენ.

სიდი აბკარი ფეხაკრეფით დაეწია ვირს, სწრაფად მოხსნა კისრიდან ბაწარი, იქვე თვითონ გადაიცო თავზედ ბაწარი. შემდეგ იმავე ნაბიჯით, როგორც მიდიოდა ვირი, წყნარად გაჰყვა უკან ჰასან ბენ აბდალლას.

ბენ იუსუფმა აუჩქარებლივ ჩაიყვანა მოკლე გზით ვირი ბაზარში, მალე გაჰყიდა, შესწირა მადლობა უფალს დიდ მეჩითში.

დასასვენებლად იქვე ჩამოჯდა ქუჩის კუთხეში.

მიდის ნელ-ნელა, ღრმა ფიქრებში გართული, ჰასან ბენ აბდალლა, უკან მიჩაკუჭებს ვირის მაგივრად სიდი აბკარი.

— დიდ არს ალლაჰ, სასწაულთ მოქმედი! — ჩაბუტბუტებს ბოლოს ბენ აბდალლამ.

— დიდ არს ალლაჰ! უპასუხა ყროყანით სიდი აბკარმა.

შეკრთა ბენ აბდალლა, მოიბრუნა პირი ვირისკენ. თავზარდაცემული სიტყვასაც ვერ იღებდა.

სიდი აბკარი მოკრძალებით შეჰყურებდა მ.ს.

— სად არის ჩემი ვირი?! — იკითხა გაუბედავად ბენ აბდალლამ.

— რომელ ვირს დაეძებ, ჩემო პატრონო!

— რა იქნა ჩემი ვირი, უკან რომ მომდევდა!

— აგერ არა ვარ!

— შენ ხომ ვირი არა ხარ?!

— მაშ, ვინ ვარ მე!

— შენ?! მე ვერ გიცნობ, ვირი საიდან იქნები!

— ღმერთო დიდებულო, ნუ თუ მე შენი ვირი აღარა ვარ!

— ალლაჰს ვფიცავ, შენც ჩემსავით ადამიანი ხარ.

— მაშ, ისევ ადამიანად ვიქეცი? სჩანს, დასრულდა შერისხვა ღვთისა, ბოლო მოეღო ჩემს გავირებულ ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, ჩემს წვალებას! ალლაჰ, ალლაჰ! დიდ არს სასწაული შენი!

საჩქაროდ გადაიძრო თავიდან ბაწარი, სიხარულისაგან იქვე ხტუნვა-თამაში დაიწყო.

— კარგად ამიხსენი, შვილო, რა სასწაული მოიღო შენს თავზე დიდმა ალლაჰმა,—ჰკითხა მორიდებით ბენ აბდალლამ.

სიდი აბკარმა იხტუნა კარგა ხანს. მერე აღგზნებულის ხმით დაიწყო თავისი ამბავი:

— ოოჰ, ჰასან ბენ აბდალლაჰ! ჩემო ძველო პატრონო, სანამ მე შენს ხელში ჩავვარდებოდი, ვცხოვრობდი დიდებულად. მამა ჩემი შენსავით შეძლებული, პატიოსანი, ღვთის მოყვარე კაცი იყო. მთელი ყურანი ზეპირად იცოდა. მეც გამომზარდა ღვთის სიყვარულში. მაგრამ გამოვედი მისი ულირსი შვილი: მე მიყვარდა ღვინო, ხშირად ვთვრებოდი. ერთხელ სიმთვრალეში მამაც კი შემომელანძღა. გონზე რომ მოვედი, დავდევი ფიცი ალლაჰს წინაშე, ღვინოს ამიერიდან აღარ დავლევ მეთქი... მანკიერებამ გამიტაცა: მეორე ღღეს კიდევ უფრო დავთვერი, უფრო გავლანძღე მამა ჩემი... გაწყრა ალლაჰ, მოიღო ჩემზე რისხვა თვისი: გადამაქცია უბრალო ვირად, მიმცა სატანჯველში... დანარჩენი შენ თვითონ იცი, დიდ არს, უფალო, სახელი შენი.

— დიდ არს უფალო, სასწაულება შენი!—უპასუხა ბენ აბდალლამ მღელვარებით.

თავი დაჰხარა მის წინ, თაყვანი სცა მას.

მერე შეეკითხა მამობრივის კილოთი.

— მე ხომ კარგად გეპყრობოდი, შვილო, განა გტანჯავდი?

— რამდენჯერ ზურგზე ტყავი ამძრომია შენი მათრახისაგან! შენ არ იყავი, რომ...

— სსუჰ, შვილო, ღმერთს ნუ შესცოდებ, ალლაჰმა იცის, რარიგ მიყვარდი! მე შენ ყოველთვის გარჩევდი სხვა ვირებში. ჩემი საყვედური არსად წამოგცდეს!

— წამომცდეს კი არა, ახლავე მივდივარ დიდ მეჩითში იქ გავაცხადებ, როგორც მირტყამდი, მაწამებდა!

— არა, შვილო, შემიბრალე, უცაბედათ თუ დაგარტყამდი, განზრახ ხომ არა ვშვრებოდი! იყავ სამართლიანი!

— ესაა შენი სამართალი?! ამდენ ხანს გემსახურე, ჩემზე ერთგული შენ არავინ გყავდა. დღეს კი მივდივარ შენგან ასე შიშველი, ასე მშიერი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, შვილო, ასე როგორ გაგიშვებ! აჰა, ფულებიც იყიდე, რაც კი გჭირია! თუ რამე ცუდი გახსოვს ჩემგან, უნდა დაივიწყო, მეც დავივიწყებ შენს ტლინკებს. სულგრძელი არის დიდი ალლაჰი, ორივეს გვაპატიებს. ამას გთხოვ, შვილო, მეორეჯერ ღმერთს აღარ შესცოდო, ღვინო ახლოს არ გაიკარო, ხომ იცი, უარესად დაისჯები: მაშინვე ისევ ვირად გადაიქცევი, ჩემისთანა კეთილ პატრონსაც ვეღარ იშოვნი. გასწი, ეამბორე დამწუხრებულ მამაშენს! მადლობა შევსწიროთ უფალს, რომ ამ დიდი სასწაულის ღირსი გაგვხადა.

ორივემ მოწიწებით თაყვანი სცეს ერთმანეთს.

სიდი აბკარმა კმაყოფილებით გამოართვა ფულები, კიდევ შესწირა ალლაჰს მადლობა...

გაეშურა დიდი მეჩითისაკენ.

ჰასან ბენ აბდალლა დიდხანს, დაყუდებული იდგა იმავ ადგილას... შემდეგ შესწირა ალლაჰს მადლობა, შემოირტყა წელზე ვირის ბაწარი... თავმომწონედ გაეშურა მოედნისაკენ.

მოულოდნელმა სასწაულმა გაიტაცა მთელი მისი არსება, შეუთამაშა ოცნება. მოედანზე მოგროვდა დიდ ძალი ხალხი. გარს შემოევლენ ბენ აბდალლას.

ის ამბობდა:

— მოვიჩქაროდი მოედნისაკენ. ჯამეს რომ მიუახლოვდი, დავიწყე ფიქრი, რად მოგვიძულა ასე დიდმა ალლაჰმა, რომ სასწაულებს აღარ გვიჩვენებს, ნუ თუ ისე დაგვიპყრეს ცოდვებმა, რომ აღარა ვართ ამისი ღირსნი?! გავიხსენე ყურანიდან ძველი სასწაულთმოქმედება... უცებ ჩემს თვალის წინ მოხდა საკვირველება. ჩემი ვირი, რომელიც ამ ბაწრით მომყავდა, შეჩერდა, სახე დაუპატარავდა, მერმე სულ შეეცვალა. წინა ფეხები გადაექცა ხელებად, უკანა ფეხები ადამიანის ფეხებად, ვირი ჩემი თვალის წინ გარდიქმნა ადამიანად, რომლის პირველი სიტყვები იყო: დიდ არს ალლაჰ!

— დიდ არს ალლაჰ!—იგრიალა ერთხმად ხალხმა.

რამდენჯერაც ჰასან ბენ აბდალლა, იმეორებდა ამ სასწაულს, იმდენჯერ უფრო უმატებდა ოცნებობას.

ხალხიც მეტის განცვიფრებით, მეტის აღტაცებით უსმენდა მას.

ბევრიც შენატროდა, რომ ბენ აბდალლამ იხილა ეს სასწაული.

— მადლობა უფალს, რომ გამხადა მისი ყურადღების ღირსად, მაგრამ მე, ოჯახის კაცი, დავრჩი ახლა სულ უვიროდ.

— ჩვენც, ჩვენც მოგვეცით საშუალება ამ სასწაულში მონაწილენი გავხდეთ! დაიძახეს რამოდენიმემ.

იმავე წამში ხალხმა დიდის ხალისით შეაგროვა ფული, რომ ბენ აბდალლას სამაგიერო ვირი ხალხის ფულით ეყიდა.

ჰასან ბენ აბდალლა მრავალის ხალხის თანხლებით გაეშურა იმ ადგილისაკენ, სადაც „განკაცდა იმისი ვირი“.

შეუდგნენ ლოცვას იმ ჯამეში, რომლის კარებთანაც მოხდა ეს სასწაული...

მეორე დღეს ბენ აბდალლა, ახალ ტანისამოსში გამოწყობილი, დინჯად გამოვიდა ბაზარში. უნდოდა ეყიდნა თავისთვის ახალი ვირი.

ხალხი პატივისცემით ეგებებოდა მას.

ბენ აბდალლა უცებ წააწყდა ერთ ვირს, რომელმაც მიიპყრო მისი ყურადღება.

ჩემი ვირი რომ კაცად არ ქცეულიყო, ვიფიქრებდი, უსათუოდ ეს არის მეთქი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუწყო თვალიერება.

ვირმაც მალე იცნო თავისი ძველი პატრონი.

დაიწყო სიხარულისაგან ყროყინი, აიწყვიტა ბაწარი, მოაშურა ბენ აბდალლას.

— ოოჰ, ეს მართლა შენა ხარ, რომელიც იყავი ჩემი ვირი?! შე საბრალო, ასე მალე შეცოდე ისევ უფალს! კიდევ ჩალიე ღვინო, ხელახლად ვირად გადაიქეცი? მე ხომ გაგაფრთხილე, შვილო!

ვირმა კიდევ მორთო ყროყინი. ეველრებოდა შინ წამიყვანეო.

— უკაცრავად ბრძანდები, შენისთანა ცოდვილს მეორეჯერ აღარ ვიყიდი! კიდევ საყვედურს დამიწყებ, ცუდათ მეპყრობოდიო! მშვიდობით ბრძანდებოდე!

ამ სიტყვებით ბენ აბდალლამ მიიბრუნა პირი.

გასწია სახლისკენ.

ვირი გაჰყვა მას.

ბენ აბდალლამ შიშით მოიხედა მისკენ.

ვირი მიუახლოვდა.

ბენ აბდალლამ სწრაფად აიწია კაბის კალთები, მოჰკურცხლა რაც ძალი ჰქონდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვირი ყროყინით ულაან გამოუდგა.

მირბის წინ ჰასან ბენ აბდალლა.

მისდევს ულაან მისი ვირი პირაფჩენილი.

ვირს გამწარებით მისდევს ჯოხით ხელში მისი ახალი პატრონი.

შეგროვილი ხალხი იცინის.

ხარხარებს...

შორი ახლოს მიმალულიყვნენ ორი მაწანწალა: ერთი იყო ბენ იუსუფი, მეორე სიდი აბკარი.

კმაყოფილებით იღიმებოდნენ.

პარ. გიორგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვითელი ფერი.

ემს ყვავილებში არ ერევა
ყვითელი ფერი
და მე-კი მიყვარს მისი ცქერა,
მისი იერი.
ზოგი ვარდს აქებს, ეტრფის იის
მინაბულ თვალებს...
მეც მათრობს ეშხი, მაისი რომ
გამოიდარებს.
მაგრამ თქვენ იცით, რატომ მიყვარს
ყვითელი ფერი?
—მარტის პეპელას მოგაგონებს
მისი იერი:—
ოქტომბრის დღეებს, ტყის შარი-შურს
აბრეშუმ ფოთლებს,
ქარვის მტევნებს და, ურმის ჭრიჭინს...
მხიარულ სოფლებს.

მიმჭრალი.

ჩვენი სამშობლოს წყლები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდინარე თერგი.

სადგურ კობთან, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, ბითარის გარდა თერგს ერთვის მეორე კარგა მოზრდილი წყალი, უხატის ხევზე ჩამომდინარე. უხატის ხევის წყლის სიგრძე ექვს შვიდ ვერსზე მეტი არ იქნება, სამაგიეროდ სიჩქარე მისი დიდია, როგორც ყველა აქაური მდინარესი. უხატის ხევის წყალს უერთდება თავისოდენავე ნაკადი სახელად მილიონი. მილიონი და უხატის ხევი სათავეს იღებენ კავკასიონის ქედის მთავარ ძარღვის მაღალ მწვერვალიდან. ამ მწვერვალს მილიონი ჰქვიან. უხატის ხევი გამომდინარეობს მის აღმოსავლეთით, მილიონი მის დასავლეთით. ჯერ ერთმანეთს ერთვიან და შემდეგ-თერგს მარჯვენა მხრით.

სადგური კობის მიდამო არის გზა-ჯვარედინი. ეს ადგილი ამ ხეობაში ერთად-ერთი ფართო და გაშლილი ადგილია; მთები, თითქოს რითიმე ნაწყენნი და ერთმანეთს შემომწყრალნი, ურთი-ერთისაგან გამდგარან, დაშორებულან. იმ ორიოდე სოფელში, აქ რომ გაშორებულა, თითქმის სულ ოსები მოსახლეობენ. მათი ხელობა მეცხვარეობა—მესაქონლეობაა; ხნავენ და თესვენ კიდეც, მაგრამ ნაკლებად, ბუნება ხვნა-თესვას ხელს არ უწყობს, ვერ ეგუება.

შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი ხევი აქედან იწყება.

მდ. თერგი, წყალ-შემატებული და შემავიწროებელ კიდე-ზღუდეებს მოშორებული, თავისუფლად და ხალვათად მიმდინარეობს; მაგრამ არა, მდ. თერგის მსვლელობას სიტყვა „მიმდინარეობა“ არ უხდება, არ შეეფერება; მისი მსვლელობა სირბილია გააფთრებულ ვეფხვისა, თავ-გამოდებული, შეუდრეკელი. კარგა მანძილს ფართო ჭალებზე თავის ნებაზე მიმდინარეობს. მთები, თერგის ხმაურობით შეშინებულნი, შეკუმშულან და მოედანი, ასპარეზი თერგისთვის დაუთმიათ. მდინარეც სარგებლობს შემთხვევით და მდგომა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეობით, ხან მარცხნივ გადიქნევს ტალღას, ხან მარჯვნივ, ხან ერთი მთის ძირობას მიეტმასნება, ხან მეორისას, ერთი სიტყვით, ისე იქცევა, როგორც სურს, როგორც მოეწონება, როგორც თავისი ჭკუა უბრძანებს.

სამხედრო გზა სოფ კობამდის მდ. ბეითარას ხევით მოიკლაკნება, აქედან-კი თერგის ხევში გადადის და ხან იმის მარცხენა და ხან მარჯვენა ნაპირას მოექცევა ხოლმე.

ზოგ ადგილას თერგი ძალიან უახლოვდება გზატკეცილს, ხანდახან წაეპოტინება ხოლმე: სურს წალეკოს, ხალხის გზა თვის კვალად გაიხადოს, მაგრამ აქ ვერაფერს ხდება, რადგანაც გზას ჰყარაულობს ადამიანი და უკანასკნელის გონება,— მოხერხება—ცოდნასთან მდინარე ვერასა ხდება. იქ, სადაც გზა და თერგი ერთმანეთს უახლოვდებიან, უკანასკნელის ნაპირზე ნაშენი არის კლდის და დუღაბის მაგარი და ბევრჯელ საკმარისად მაღალი ზღუდე, კედელი, რომელსაც თერგის ხარბი და ცელქი ტალღა ვერ სწვდება; თუ სადმე როგორმე მოხდა და დააზიანა თერგმა ეს კედელი, მაშინვე მზად არიან მუშათა წყებები, საქმის მცოდნე ხელმძღვანელებით, რომ უმალვე შეაკეთონ და შეავსონ გაფუჭებულ-დანაკლისი. მუშები ცხოვრობენ თერგის და გზის პირზედ აშენებულ ყაზარმებში; გზები დაცულია მთის მხრიდანაც; თუ წვიმა მოვიდა და მთა ჩამორეცხა და ჩამოხორგა, იგი ქვა-ქვიშას ჩამოიტანს გზაზე და გააფუჭებს. ამისთანა ადგილას ამართულია ისევ კლდის კედლები; ეს კედელი იცავს გზას და მგზავრს უცაბედად მთის ფერდობზედ მოწყვეტილ და თავქვე გამოქანებულ კლდისაგან.

ს. კობიდან მოყოლებული, სადაც პირველად ხვდებიან ერთმანეთს სამხედრო გზა და მდინარე თერგი, სოფელ სტეფან-წმინდამდე, რაც უდრის 18 ვერსტს, გზა მდინარის მარჯვენა ნაპირით მიდის.

ს. კობთან, ყაზბეგის მიმართულობით, გზის ძირში გამოჩქრიალებენ ნარზანები, და იმდენად, რომ წისქვილის ქვებს ატრიალებენ. კობიდან ყაზბეგამდის, თითქოს დიდი ბრძოლით მოღლილ-მოთეთქვილი, თერგი ძალიან ალარ ხმაურობს; ეს ადგილი ასახსნელია: მთები, თერგთან რომ შეუწყვეტელ ომს აწარმოებენ, განზე გამდგარან, მდინარეს-თვის გზა დაუგდიათ და თერგიც, უმეტოქეოდ დარჩენილი, დამშვიდებულა.

მოხვევთა პირველი სოფელი ხევში, თუ საქართველოდან მივდივართ, არის ყანობი. იგი მდებარეობს თერგის მარცხენა ნაპირზე, ოდნავ დაქანებულ მთის გავაკებულ ფერდობზე. მდებარეობა ლამაზი აქვს და ყანობი ბარად იმისთვის ეწოდება, რომ სოფელს სხვა ხევის სოფლებთან შედარებით, ბევრი აქვთ ვაკე ადგილი ყანის მოსაყვანად.

მდ. თერგს სოფ. ყაზბეგამდე მარჯვნიდან და მარცხნიდან ერთვის მრავალი ხევის პატარა წყალი.

ს. აჩხოტის ქვემოდ მდ. თერგს ერთვის მარჯვენა მხრიდან შენაკადი შავი არაგვი, რომელიც ჩამომდინარეობს ღუდუშურის, ანუ სნოს ხევზე და სათავეს ილებს მწვერვალ ქვენამთიდან. შავ არაგვს ერთვიან მარცხნით ხევის წყალი ჯუთა, ხოლო მარცხნიდან — ქორხი.

პირველად სამხედრო გზა ჯვრის უღელტეხილით კი არ გადმოდიოდა, არამედ შავ არაგვის ხეობით ბუსარჭილის უღელტეხილზე და მისდევდა ღუდუშურის ხევს; ამ ხეობაზე არის მოზრდილი სოფელი სნო.

სოფ. სტეფან-წმინდამდე (იგივე ყაზბეგი) სამხედრო გზა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თერგის მარჯვენა ნაპირზედ მიიკლაკნება; ამ სოფელთან ეს გზა მშვენიერ რკინის ხიდზე გადუვლის თერგს თავზე და მოეჭცევა მას მარცხნით. მდ. თერგი აქ უკვე მოზრდილი და ძრიელია; ხიდიდან მისი მზერა და თვალიერება სასიამოვნოა; მირბის, მიიჩქარის თერგი ქვემოდ და ამ მსვლელობის დროს არ ერიდება ვეებერთელა კლდეებს და ქვებს. მის კალაპოტში აქა იქ რომ მოუკალათნიათ; არ უვლის იგი მათ გვერდს, არ უჭცევს მხარს, ზედ ახტება ხმაურობით და გზის სავალს იმოკლებს. ეს ადგილი შესანიშნავია თვისი სილამაზით. აქედან მშვენივრად სჩანან ორი ბუმბერაზი ბუნებისა: თერგი დაუღალავი და მყინვარი, თეთრ ჩადრით მოსილი. ეს დიდებული სურათი არ გამოჰპარვია პოეტ ილია ჭავჭავაძეს და იგი თავის „მგზავრის წერილებში“ შემდეგ ფრიად — მნიშვნელოვან და დამაფიქრებელ სტრიქონებს უძღვნის მათ, — თერგს და მყინვარს: „ოთახიდან გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფან-წმინდის პირდაპირ აყუდებულ მყინვარსა, რომელსაც ყაზბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლია სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადო. ცისა ლაჟვარდზე მოსჩანდა იგი თეთრად და აუმღვრეველად.

ერთი მუჭის ოდენა ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალ შუბლსა, მის ყინვიით შეეერცხლილ თავსა. ერთად ერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დანათოდა, ერთ ადგილას გაჩერებულიყო, თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს—ერთი სიტყვით მყინვარია! მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზე არც ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზე უდგია, თავი კი ცას მიუბჯენია, განზე გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზე განდგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზე ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი თერგი. შავის კლდის გულიდან გადმომსკდარი მიდის და მიბლავის და აბლავლებს თავის გარშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლებული და ღირს-საცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია, როგორც უკვდავება და ჩუმია, როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი-კი ყოველთვის ძირიდან დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულა, მაღლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე სუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე მას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონსა. ნეტავი შენ თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეკ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყის ყიყინზე არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი-"ო.

სოფ. სტეფან-წმიდა მდებარეობს თერგის მარჯვენა მხარეზე; მის გასწვრივ, მარცხენა ნაპირზე თერგის შენაკად გერგეთულას პირად მდებარეობს სოფ. გერგეთი, [illegible] თავს დასცქერის მთელ ხევში განთქმული თვის სიძლიერით წმინდა სამების ეკლესია.

ს. სტეფანწმინდა არის სამშობლო ჩვენი გამოჩენილი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგისა; იგი დაიბადა ს. სტეფანწმინდაში და იქვე არის დასაფლავებული ეკლესიის გალავანში; პატარაობისა აკვანში მწოლიარეს თერგი უგალობდა მას ნანას და ეხლაც საფლავში მყოფს იგივე თერგი უგალობს იმავე სიმღერას.

თერგის და სხვა აქ მოხსენებულ სოფელ-ადგილების სახელები ალბად გაგონილი ექნება მას, ვისაც წაუკითხავს ალექსანდრე ყაზბეგის მშვენიერი ნაწერები; მათში სწორედ, ნათლად, ნამდვილად და მხატვრულად არის აწერილი, როგორც თვით ხევი ისე მისი მეზობელი ადგილები თვის მცხოვრებლებით და მათი ყოფა-ზნე ცხოვრებით.

სოფ. ღვილეთამდე მდ. თერგის კალაპოტი ფართოა, სიპ ქვებით მოფენილი; გზა აქ მთის მაღალ ფერდობს მისდევს; როცა კაცი ამ სიმაღლიდან გადასცქერის თერგის ხევს და მის ძირზე მოლაპლაპე მდინარეს, მაღალ, თვალუწვდენელ მთებით მოზღუდულს, მის გულს რაღაც შიში და მოკრძალება იპყრობს.

ს. ღვილეთიდან მდ. თერგი შედის ცნობილ დარიალის ხეობაში; ეს ხეობა იმდენად დიდებულია, იმდენად მომაჯადოვებელი და კაცის გრძნობათა დამატყვევებელი, რომ მისი აღწერა თითქმის შეუძლებელია. საჭიროა ამ ადგილის ნახვა და დატკბობა ბუნების დიად სურათით.

მდ. თერგის ხმა აყრუებს მთელ ხეობას; მას ხმას აძლევენ მის კიდეზედ აყუდებული მთები, რომელთა მწვერვალნიც ცაში იკარგებიან. ჩვენ ცნობილ პოეტ გრ. ორბელიანს ამიტომ უთქვამს ლექსში:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“-ო.

დარიალის ხეობის სიგრძე არის 15 ვერსი; იგი ღრმა ხეობაა; თერგს გადუჭრია კავკასიონის მთების მთავარი ძარღვები და ზედ გზა დაუდვია. დარიალში თერგს ერთვის ორი უფრო მოზრდილი შენაკადი: პირველი-მარცხნიდან, ს. ღვილეთის ახლო, რომელიც გამომდინარეობს ყაზბეგის ყინულ-

დევდორაკისაგან, მეორე-კი ქისტინკად წოდებული მარჯვნიდან; იგი სათავეს იღებს ქისტების მთებიდან და ისეთი დაქანებული კალაპოტი აქვს, რომ სულ თეთრ ქულა ქაფად მოჩქრიალობს და მოაგორებს ლამაზ კენჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ღვილეთთან მდ. თერგი კვლავ რკინის ხიდის ქვეშ გადის და მიმდინარეობს სამხედრო გზის მარცხენა მხრით. იქვე ახლო მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ციხე, მეფე თამარის აშენებულად რომ იხსენიებენ. მარჯვენა ნაპირზედაც, იქვე მახლობლად, ქისტინკას შესართავთან არის მეორე ციხეც, რომელშიაც ოთახებია და სანაპირო ჯარი სცხოვრობს; ეს ორი ციხე წარსულში ჰკეტავდა დარიალის ხეობას; ეს ორი ციხე იცავდა საქართველოს ჩრდილოეთით მოსახლე ველურ ხალხებისაგან; დარიალის ხეობა ძველად და ეხლაც ერთად-ერთი საუკეთესო გზა არის კავკასიონის ქედს რომ სჭრის და ევროპას აზიასთან რომ აერთებს. ამ გზით შემოვიდა საქართველოში პირველად რუსის ჯარი, რადგანაც სხვა გზა ჯერ არ იყო რუსეთის ხელში.

ამ ციხეებიდან რამდენიმე ვერსის სიშორეზე, ქვემოდ მდ. თერგზე არის კიდევ ერთი რკინის ხიდი, ეშმაკის ხიდს რომ ეძახიან. ეს ხიდი დარიალის სუყველაზე ვიწრო ადგილას არის გაკეთებული; აქ კლდეები ერთმანეთთან ისე ახლოს მისულან თითქოს თერგის გასრესა მოუსურვებიათო; ამიტომ აქ თერგი უფრო გაბრაზებულ—გააფთრებულია.

ეს ხიდი არის სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთ შორის. ეხლაც, როგორც ძველად, საქართველოს რჩეულნი და ერთგულნი შვილნი, ჯარის კაცები, დღე და ღამ ჰყარაულობენ აქ და იცავენ საქართველოს გარეშე მტერთაგან, იცავენ თავის ერის, ქართველობის მყუდროებას.

ამ ხიდიდან მოყოლებული მდ. თერგი უკვე ჩვენ აღარ გვეკუთნის, იგი რუსეთისაა. მდინარე მალე მთებსაც ჰლალატობს, შორდება მათ და ვაკე ადგილზე მიმდინარეობს; ამიტომ იერი და ზნეც შესცვლია; დაჰკარგვია ის სიმკვირცხლე და სიყოჩაღე რითაც ესოდენ მოსწონდა იგი ილია ჭავჭავაძეს მთაში.

მდ. თერგი ჩადის კასპიის ზღვაში, ქ. ყიზლიარის აღმოსავლეთით; მთელი სიგრძე მისი არის 570 ვერსი; თვისი მომეტებული ნაწილით იგი ჩვენ სამშობლოს მიწა-წყლის გარეშე მიმდინარეობს.

მდინარე თერგი მოხსენებული აქვს მე-10 საუკუნის მწერალს ჯუანშერს თვის ვახტანგ-გორგასლანის ცხოვრებაში. იგი ამბობს, რომ ძველად ქართველები თერგსაც არაგვს ეძახოდნენ, რადგანაც ისიც იმ მთიდან გამომდინარეობს, საიდანაც ქართლის არაგვიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგში ბუდობს სხვა და სხვა გემრიელი თევზი და სათავეში კი კალმახი.

მდ. თერგი ეხლა მაზარალებელი უფროა ვიდრე სასარგებლო; იგი აფუჭებს ხოლმე მშვენიერ გზატკეცილს და ქვიშა-რიყით ავსებს მოხევეთა ისედაც მცირე სახნავ-სათეს მიწებს.

მომავალში კი თერგის სარგებლობა განუზომელია. თერგი ძალიან ჩქარი, სწრაფი, ლონიერი და კალაპოტ დაქანებული მდინარეა. იგი ამ მხრივ დიდ ძალას წარმოადგენს; მას შეუძლია დიდი ბორბლების ტრიალი და მრავალ მანქანების მოძრაობაში მოყვანა. იმას, რასაც დასჭირდება უამრავი ქვა-ნახშირი ან სხვა სათბობი მასალა, თერგის ერთი მცირედი ნაწილიც გააკეთებს. ამიტომ არის რომ თუ მდინარეს შეუძლიან მოძრაობაში მოიყვანოს სხვა და სხვა მანქანა და გასწიოს ქვანახშირის ან სხვა მსგავს პროდუქტის მაგიერობა „თეთრ ნახშირს“ ეძახიან. თეთრი, როგორც „თეთრი ნახშირი“, ფრიად ძვირფასია და დიდი მომავლის მქონე.

ი. ხუციშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხული.

ორჩი დიდია ნაზ ლურჯ-ფერა
მოგვესალმა. უმღერს ტკბილად
მინდორ-ველსა, არე-მარეს,
ხმა ნარნარით—შეწყობილად...
იქ შროშანა მოკეკლუცე
აზიზ ფრთებით შემკობილი,
თეთრ-მანდილა—მოაშიკე,
მომხიბლავი, მოხდენილი,
ნიავისგან წყნარად ტოკავს,
აქეთ-იქით არხევს გულსა,
ეშხით თვრება—მხიარულობს,
და უმღერის გაზაფხულსა...
იქ წალკოტში ეკლის ბუჩქსა
მუქ-შუქურა ვარდი ჰფარავს,
დილის ნამი-მარგალიტი
ხავერდოვან კოცნას ჰპარავს.
თავს ევლება მოელვარე,
აციმციმებს მოკაშკაშე,
კრთის ფოთლებზე...
ისხნსნის გულსა
და უმღერის გაზაფხულსა.
აქ ბულბული-ბალთ მგოსანი
ჰანგებზედა მგალობელი,
ფერად ყვავილთ მოთაყვანე
ავ მომღერალთა მგმობელი,
ტკბილ სიმღერას ანავარდებს,
გაზაფხულსაც ათაყვანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სიმღერა, ეს გალობა,
თქვენ შეამკეთ მინდორ-ველო...
და ბულბულმა, ტკბილ ნობათად
შენ მოგართვა, საქართველოვ!
საქართველოვ, გაზაფხულდა—
დღე გათენდა მშვენიერი...
შენს სიტურფეს, სილამაზეს,
მარად უმღერს შენი ერი;
ყმაწვილებიც შენს მშვენებას
შეჰხარიან მადლიერნი...
საქართველოვ, თუ შენ ხარობ,
ჩვენც ვართ მაშინ ბედნიერნი.

გ. კოლელიშვილი.

1920 წ. 26 მაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თედო რაზიკაშვილი.

— ნეტა თუ გახსოვთ, ჩემო პატარა მკითხველებო, რომელიმე ლექსი, ამბავი, ან მოთხრობა თედო რაზიკაშვილისა?

— არ გახსოვთ? კარგა ხანია აღარა დაუწერია-რა, განა?

აბა, მაშ, გადაშალეთ „ბუნების კარი", ან წარსული წლების „ჯეჯილ-ნაკადული" და უეჭველად ნახავთ თედოს ნაწერებს.., რომ იცოდეთ რა ტკბილი ქართული აქვს, რა მშვენიერი გამოთქმა, რა ჩინებული და ფაქიზი გრძნობები, ერთხელ კიდევ სიამოვნებით გადაიკითხავთ მათ და გაფართოვდება თქვენი ოცნება, გადაიშლება თქვენი ფიქრები, აჩქროლდება თქვენი გული და ნეტარებისა, თუ მწუხარების ცრემლები მოგადგებათ თვალებში: ისე მოხერხებულათა და დალაგებით ალაპარაკებს ფითრს, მსხლის ხეს, ყვავილებს, ბალახებს, ჩიტებს, სოფლელ გოგონებსა და ბიჭუნებს, ტყესა და მთას, მინდორსა და ველს, კლდესა და ნაკადულს, მეტყველებსა, თუ პირუტყვებს, რომ ალტაცებაში მოხვალთ და წამოიძახებთ: — ღმერთმა უკურთხოს კალამი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ძია თედო.

სამწუხაროდ, ეს გულთბილი და ენა მოქარგული მწერალი, — თქვენი დიდად მოყვარული და თქვენი დავაჟკაცებისა და ბედნიერების მოსურნე თედო რაზიკაშვილი — აღარა გვყავს!

წრეულს, 19 (ძველის თვლით 6) იანვარს, ნათლიღება დღეს, ნაშუადღევს, ცოლშვილში რო ბრუნდებოდა, სოფლის ავმა და შავმა კაცებმა ჩხუბი ასტეხეს და მოჰკლეს.

ქართველი მწერლის ასე მხეცურად მოკვლამ შესძრა და ააშფოთა ქართველი საზოგადოება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თედოს ოთხი მკვლელი დღეს სატუსალოში სხედან, დანარჩენებს კი მთავრობა დაეძებს შესაპყრობათ... მაგრამ თედოს ამითი რაღა ეშველება?

სატირალი და სავალალო ის არის, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი მოიპოვება ისეთი მხეცი ადამიანი, რომელიც ვერ არჩევს ავსა და კარგს და თედოსთანა მოჭირნახულე, მოამაგე და ქვეყნისათვის თავდადებულ კაცს ასე პირუტყვულად უსპობს სიცოცხლეს!..

ჭალარით ახლად შეეერცხლილი, მუდამ ქართულ ჩოხა-ახალოხში გამოწყობილი, ტანდაბალი, მაგრამ მკვრივი, მარად მხიარული, გულ-გაუტეხავი, დაუღალავი მუშა და დაუცხრომელი მქადაგებელი ძმობა-ერთობისა, სამართლიანობისა და ქვეყნისათვის სამსახურისა — თედო რაზიკაშვილი არასოდეს არ დაავიწყდება გორის მაზრის, მეჯვრისხევის ხეობას, სოფ. ხელთუბანს, სადაც იგი ოცდა ათ წელიწადს იყო მასწავლებლათა და დაბეჩავებულ გლეხობის გზის მაჩვენებლად.

დიაღ, არ დაავიწყდებათ ისე, როგორც არ დაივიწყებს მას ქართული მწერლობა, ქართველი ერი!

თედო სულ 12—13 წლის ყმაწვილი იქნებოდა, როცა

იგი ჩამოიყვანა ფშავეთიდან მისმა ძმამ სახელოვანმა ქართველმა მგოსანმა **ვაჟა-ფშაველამ** და მიაბარა გორის საოსტატო სემინარიაში. აქ წარჩინებულად დაამთავრა მან სწავლა და ოცი წლის ახალგაზდა კაცი გამწესდა სოფლის მასწავლებლად სოფ. ხელთუბანში. იმ დღეს აქეთია აღარ მოშორებია ამ სოფელს. აქვე დაცოლშვილდა, აქვე მოაწყო საუკეთესო ქართული ოჯახი, პატარა, მაგრამ კოხტა მეურნეობა და სანთელივით დაენთო ყრუ და ყველასაგან მივიწყებულ სოფელში.

თედომ პირველმა შეიტანა ანბანი აქაურ გლეხკაცობაში, პირველმა აუხილა გონების თვალი სოფლის ბავშვებს, შეაყვარა წიგნი, კაი კაცობა, ადამიანობა. თედოს ჭირივითა სძულდა ორ-პირობა და თვალთმაქცობა, სძულდა ერთისაგან მეორის დაჩაგვრა, სძულდა მუქთა ხორები, სძულდა სოფლის ჭამია ჩარჩები, მატყუარები. თავის თავზე მეტად უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი, ბავშვები, მომავალი თაობა, მთელი ქვეყანა! ამოღებული ხმალივით კრიჭაში ედგა სოფლის ნაძირალებს, ქურდ-ბაცაცებს, ქვეყნის ორგულთა და ერის დამამცირებელთ, ძველი რუსეთის პოლიციასა და ჟანდარმებს, რისთვისაც, 1906—7 წლებში, ზარბაზნებით დაუნგრიეს სახლ-კარი, თვითონ კი შორეულ ჩრდილოეთში გადაასახლეს.

როგორც იყო დაემხო ძველი რუსეთი, ხალხი განთავისუფლდა მონობისაგან. განთავისუფლდა საქართველოც. თედო კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ სოფელს. აქ კვლავ გაისმა მისი მჭექარე ხმა, კვლავ ამუშავდა მისი მადლიანი მარჯვენა. თედო ისევ შეიქმნა სოფლის დარაჯად, სოფლის ხელმძღვანელად. მაგრამ...

ალბად ცხოვრების წესის გარდაქმნა უცბად ვერა სცვლის ათი და ათასი წლობით გაბოროტებულს და გავერანებულს, დაბრმავებულსა და დაყრუებულ გულ-გონებას ზოგიერთი ადამიანისას. დღესაც ჩვენი დაბა ქალაქები სავსეა ცხვრის ტყავში გახვეული მგლებით, რომელთაც თვალის ეკლად მიაჩნიათ სამართლიანობისა და ქართველი ერის აღორძინების მოტრფიალენი. ჩვენი დაბა-სოფლები დღესაც სავსეა ავ-კაცებით, რომელნიც შურითა კვდებიან კაცის სიკეთეს რო ხედავენ, გლეხის გამოფხიზლებას რო უყურებენ. იციან, გრძნობენ, რომ ძველებურად ველარ დაიბრიყვებენ, ძველებურად ველარ გაუბატონდებიან მას, თუ თედოსთანა ხელმძღვანელები ეყოლებათ და...

აი აქ არის დამარხული მიზეზი თედოს მოკვლისა! თედო კვლავინდებურად სდევნიდა სოფლის ნაძირალებს, კვლავინდებურად და უფრო თამამად უქმევდა სოფლის სვავებს და ყვავ-ყორნებს, თედო თავგამოდებით ებრძოლებოდა მათ!

ბევრი ცუდი და ავი მიაყენეს თედოს: ხან სახლი გაუძარცვეს, ხან სკები მოჰპარეს, ხან თივა დაუწვეს; ერთხელ გზაშიაც კი დახვდნენ მოსაკლავად, მაგრამ თედო არც მხდალი იყო და არც ისეთი ძაბუნი, რომ გაჰქცეოდა სოფლის ორგულებს, ნაძირალებს, მათს მუქარასა და დაშინებას და, აი, რომ ველარ მოღუნეს,—სოფლიდან რო ველარ აბარგეს, გასტეხეს, მოჰკლეს იგი!

სირცხვილი და ზიზღი მის მკვლელებს, ნეტარ-ხსენება და უკვდავება თედოს სახელს!

თბილისში, დიდუბეში, სადაც იქორწინა თამარ მეფემ და თავი მოუყარა გაერთიანებულ, ძლიერ საქართველოს ლაშქარს, დღეს გაშენებულია მკვდართა ქალაქი,—სასაფლაო. ამ სასაფლაოს ერთი ნაკვეთი განსაკუთრებით არის შემოფარგლული და ეწოდება „ქართველ მწერალთა პანთეონი". ამ პანთეონში განისვენებს საქართველოს დღემდე გარდაცვლილ ჭირისუფალთა უმრავლესობა.—აქ არიან: ვაჟა-ფშაველა, გოგებაშვილი, ევდოშვილი და სხვანი მრავალნი, მშვენებანი და დიდებანი ივერიისა. აქვე თქვენ ნახავთ ჯერეთ ისევ სველ სამარეს თედო რაზიკაშვილისას. 1922 წლის 19 თებერვალს სრულიად საქართველოს ქართველ მწერალთა კავშირის საბჭომ გადმოასვენა ს. ხელთუბნიდან წამებული თედოს ნეშტი და ღირსეულად დაკრძალა ქართველ დიდებულთა შორის.

ია. ეკალაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იის ფოთლებზე.

(პაწია რვეულიდან)

ის ფოთლებზე ეძინა ცვარსა...
ეკერა ღილად;
ჰკრთოდა ობლებზე
სიამის შვებად...
ედინა ღვარსა, ესერა დილად...
სიო მის ქებად
ჰქროდა ნადიმზე.
და... მზე, მნათი მზე
ლაწვებ ალება
თრთოდა ციმციმზე.—
ებნევდა სხივებს.

ფირუზ თვალება
ია თვის სიმზე
ჰკინძავდა მძივებს...

სეზმან ერთაწმინდელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მცენარეების ძილი.

ას ვეძახით მცენარეთა ძილს? რათ იძინებს მცენარე? დალამდება თუ არა, მრავალი მცენარე ძილს მიეცემა. სხვა და სხვა ნაირად გამოიხატება ეს ძილი. ღიღილო და გვირილა, როგორც კი მზე გადაიხრება, ნელ-ნელა ჰკეცავენ გვირგვინის ფურცლებს, ასე რომ საღამოს მთელი ყვავილი შეკუმშულია და თითქმის აღარც კი სჩანს.

სხვა ნაირად იძინებენ კოხტა ხამბახი და მარიტა. ისინი, როგორც ძილ-მორეული ბავშვები, თავს ძირს დახრიან ხოლმე, ასე რომ მათი ყვავილის მწვანე ჯამი ზევით მოექცევა. იმ დროს რომ ტყესა და მინდორში გაიაროთ, გეგონებათ—ყვავილები ვინმეს დაუკრეფიათ, რადგან მწვანე ბალახში მწვანე ჯამი კარგად აღარ სჩანს.

მარტო ყვავილი კი არ ეძლევა ძილს — იძინებენ აგრეთვე ფოთლებიც. როდესაც მცენარე ძილისთვის ემზადება, მისი ფოთლები წყნარად და შეუმჩნევლათ იწყებენ მოძრაობას. ფოთლების ფირფიტები ერთი მეორეს უახლოვდებიან და, როგორც მაგალ. აკაცია ძირს ეშვებიან. ასე იქცევიან სამყურაცა და მიმოზაც. რასაკვირველია ახალ, — ნორჩი ფოთოლი ადვილათ ახერხებს ამ მოძრაობას, ბებერი ფოთლები კი გახევებული არიან, და მათ ძილი არ ემჩნევათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეფინება თუ არა მზის შუქი მიწას, ყვავილები, წელში გაიმართებიან, მხიარულათ მაღლა ასწევენ თავს და ფერადფერად გვირგვინებს მზისაკენ ამართავენ. ფოთლებიც შორდებიან ერთი მეორეს და იწყებენ დღიურ სამუშაოს.

ყვავილის უმთავრეს ნაწილს ბუტკო და მტვრიანები წარმოადგენ. როდესაც ყვითელი მტვერი მომწიფდება, ქარს იგი შორს მიაქვს. მტვერი რომელიმე ყვავილის ბუტკოზე დაეცემა. აქ ის დალბება, იზრდება ნასკვსში ჩადის. ამის შემდეგ ნასკვი ზრდას იწყებს და ნაყოფად იქცევა.

ყვავილის მტვერი თუ გამადიდებელი შუშით დავათვალიერეთ დავინახავთ, რომ ის მრავალი ბურთულებისაგანაა შემდგარი. თითო ბურთულა ლორწოს მსგავსი წვეთია. ეს წვეთი თხელ გარსშია გახვეული.

მტვერი რო წვიმამ ან ცვარმა დაასველოს, ბურთულები დასკდებიან. ამისთანა მტვერი ნაყოფს აღარ მოიტანს. ახლა თქვენ ადვილათ მიხვდებით, რათ იხურება ყვავილი ღამით და წვიმიან დღეში, რათა ხრის ლამაზი ზამბახი თავს. ღამის ცვარი ან წვიმის წვეთები ყვავილიდან ძირს სცვივა და არას ავნებს.

გარდა ამისა, მცენარე, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, სითბოს გამჩენია, დღისით ეს სითბო ჰაერში იფანტება; ღამით კი, როდესაც მზე აღარ ჰგზავნის თავის ცხოველ სითბოს და გარშემო ცივა, ყვავილი საჭიროობს როგორმე საკმაო სითბო შეინახოს, თორემ მტვერი ჩქარა ვერ მომწიფდება. დახურულ, დაძინებულ ყვავილში ეს სითბო გროვდება, და ამნაირად ყვავილი უძლებს ღამის სიცივეს.

პაწია ბუზანკალებს ძალიან უყვართ ყვავილში ღამის გატარება. იქ პოულობენ ისინი თბილ ბინას; იქვე მზათ არის ტკბილი საჭმელ—სასმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ისეთი მცენარეები, რომელთაც დღე ღამედ აქვთ გადაქცეული და ღამე-დღეთ. მაგალითად ზოგი ბრაზილიის და მექსიკის მიმოზები. დილით, როდესაც მათ მწვავე მზის შუქი მოადგებათ, ჰკეცენ ფოთლებს და იძინებენ ნაშუადღევის ხუთ საათამდე. ამის შემდეგ ფოთლები გაიშლებიან და დილამდე მათ აღარ სძინავთ.

ჩვენ შეგვიძლია თვითონ დავაძინოთ ან გავაღვიძოთ უდროოთ რომელიმე მცენარე. ამისთვის ემჯობინება რომელიმე რთულ—ფოთლებიანი მცენარე ავიღოთ, როგორც მაგალითად—სამყურა. შევიტანოთ ის დღისით ბნელ ოთახში.

ფოთლები ნელ ნელა დაეკეცება, მცენარე ცხადია ძილს მიეცა, თუმცა გარედ მზე კაშკაშებს. ეს მიძინებული მცენარე ელექტრონით რომ გავაშუქოთ, ის გაიღვიძებს: ესე იგი ფოთლები ნელ-ნელა დაშორდებიან ერთი მეორეს. ყოველი მცენარე ისე იძინებს და იღვიძებს, როგორც წესრიგს დაჩვეული ბავშვი. ამაში ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით რამდენიმე დილა-საღამო რომ თვალი ვადევნოთ ყვავილებს მინდორში.

მეცნიერმა ლინნეიმ ამის და მიხედვით შეადგინა წიგნი „ყვავილების საათი“, სადაც აღნიშნულია, რომელ საათზე რომელი ყვავილი იძინებს და იღვიძებს. აი რამდენიმე ყვავილი ამ სიაში მოგცეული:

იღვიძებენ:

დილის	4	საათზე	—ვარდყაყაჩო (Cichorium intylus).
„	5	„	—ბურბუშელა (Taraxacum officinale).
„	6	„	—გლახარხი (Soncus arvensis)
„	7	„	—სალათა (Latuca sativa).
დღით —	8	„	—ქათმისთვალა (anagab's arvensis).
„	9	„	—გვირილა (caleudula arvensis).
„	10	„	—ყვითელი ზამბახი (Thermocallus fluva).

იძინებენ:

ნაშუადღევს 2 საათზე (Thieracium murorum).
„ 4 „ დუმფარა (Nymphea alba).
„ 9 „ ბურბუშელა (Taiaxacum officinale)
და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია „ყვავილების საათი“ ვერ გვიჩვენებს დროს ისეთი სინამდვილით, როგორც ჩვეულებრივი საათი. ხშირათ ყვავილის გაღვიძებას ავდარი უშლის.

წვიმიან დღეში ყვავილებს მინდვრად ვერა ვხედავთ, რადგან ისინი არ იშლებიან მთელი დღის განმავლობაში. მხოლოდ თუ გამოიდარა და სიცხემ მოატანა, ყვავილი მხიარულად გაიშლება და მზეს მიუბრუნებს პირს.



ყვავილების ძილზე სითბო მოქმედობს. დაძინებული ზაფრანას ყვავილი რომ თბილ ოთახში შევიტანოთ, ის გაიშლება.

რა გამოიწვევს ხოლმე ამ გაშლა—შეკეცვას? რა ცვლილება ხდება მცენარეში? მეცნიერი ბუნების მეტყველები გვიანბობენ, რომ ღამით და ავდრიან დღეში მცენარეს ნაკლებად ასდის წყლის ორთქლი; ამიტომ ეს წყალი მცენარის უჯრედებში გუბდება; უჯრედები გაიბერებიან: ზოგ ადგილას თვალ საჩინოდ, ზოგან კი ნაკლებ; ამას მოჰყვება გვირგვინის ან ფოთლის დაკეცვა ან გაშლა.

ამას გარდა ზოგჯერ დღის განმავლობაში ფოთლების ქვედა პირი უფრო იზრდება, ვიდრე ზემო ნაწილი; მაშინ

ფოთოლი ზევით აიწევს; თუ ზედა პირმა უფრო იმატა, მაშინ ყვავილი, ან ფოთოლი ძირს დაეშვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი ჯერ კარგად გამორკვეული არ არის: მეცნიერული გაშუქება სჭირდება; ეს კი იმ მომავალ მეცნიერთა საქმეა, რომელთა შორის შეიძლება თქვენც იქნეთ ჩემო ცნობის მოყვარე მკითხველნო.

ელენე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრი ბებელა.

ლინას იმდენი თავის დღეში არ ეცინია, რამდენიც დღეს დილით იცინა.

— რა დაგემართა?—ბუტბუტებდა ბებია.—როგორ შეიძლება ხუმრობა და ღრეჭა შეჯიბრების ერთი საათის წინ!

ყმაწვილმა ქალმა გადიხარხარა.

—ნუ თუ შენ გინდა, ბებიკო, რომ მე წარვსდგე ჟიურის წინ დაღრეჯილის სახით? ან შეიძლება დაღონებული სახით გამოხატვა ყვავილთა მეფის—ცოცხალის ვარდისა,—რომელსაც ჩვენ მოგვცემენ შესაჯიბრებელ თემად.

და ალინა მხიარულად იყო, არ კრთოდა. წარმოიდგინეთ, ჯერ ხუჭუჭ თმიანი, პაწაწინა ალისფერ ბაგიანი ქალი, რომელიც მთელი დღე ჭიკჭიკებს; ცხვრის ფერ მოლიმარ, მთვლემარე თვალებიანი, რომელიც მაყურებლის თვალს ატკბობს და ახარებს—აი როგორი იყო ალინა—პირ-მზიანი.

ალინა ჩვიდმეტი წლისაა და უკვე კარგად ცნობილია მთელ ქალაქში, როგორც ნიჭიერი ხელოვანი მხატვარი და უკვე ხელმძღვანელი ყმაწვილი მხატვრებისა. ეს ისე ამშვენებს ქალაქს. როგორც ის სურნელოვანი ყვავილები ასკილისა, რომელნიც ისე მრავლად ხარობენ ქალიქის გარშემორტყმულ ძველ გალავნის ნანგრევებზე.

შეჯიბრება გამოწვეული იყო, ერთ პატრიოსან ყმაწვილ მხატვრის ნაანდერძევ სტიპენდიის, დანიშვნით. ყოველ წელს სამი ათასი ფრანკი უნდა მისცემოდა იმ ყმაწვილ მხატვარს ქალს, ან ვაჟს, რომლის ასაკი უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ

თხუთმეტი წლისა და არა უმეტეს ოცდა ხუთისა. პირობა დადებული იყო მხატვარს დაეხატა პეისაჟი ყვავილებ, ან ხილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს პირველად იყო დანიშნული შეჯიბრება. ბებიაჩემი, მარედ მოწვეული იყო პარიზის სამხატვრო ინსტიტუტის წევრი; აქაური მხატვრებიც უკლებლივ ყველანი იყვნენ მსაჯულებად.

— დღეს ჩვენი სილარიბე უფრო მეტად მაწუხებს, — ამბობდა ალინას ბებია, — მამაშენი რომ ხელმოჭერილი კაცი ყოფილიყო, დაგიტოვებდა შენი მორთულობისათვის საშუალებას. ნუ ჰროწიალობ, დადექ სწორედ, შე კუდიანო! ვნახო შენი სადღესასწაულო მორთულობა! დამაცა მოვძებნო რაიმე ლენტი შენი ძველი შლიაპის დასამშვენებლად და ნელის ნაბიჯით იწყო ბებიამ ოთახიდან ოთახში მოგზაურობა მორთულობის საძებნელად თავის ძველ-ძველებში.

ბოლოს და ბოლოს ალინას შლიაპას ამშვენებდა პირისფერი ბლონდი. — კაბა? აბა მიტრიალ-მოტრიალდი! აი აქ როგორლაც გამობერილია. მოიცა გავასწორო; ხელი ჩამოუსვა.

— აბა ფეხი მიჩვენე; არა უშავსრა! ფეხსაცმელი ლამაზად გაქვს გაწყობილი!

ალინა კი იცინოდა და იცინოდა.

— კარგი, კარგი! ნუ ხარხარებ! მეშინია, როგორ შეიძლება აგრე აბუჩად აგდება შეჯიბრებისა, შენ სწორედ არლეკინივით ხტუნაობ, რას იტყვიან ექსპერტები!

ბებიის ბუზღუნი აცინებდა შვილი-შვილს და ხუმრობით მიუგო.

— დაშოშმინდი, ბები, მე იმათთან არ ვიცელქებ და ისე მდაბლად დაუკრავ თავს და დარბაისლად ავალ კათედრაზე, იქ სულ სხვა ღიმილით მოვრთავ ჩემს სახეს!

— როგორ? განა შენ რამდენიმე ნაირი ღიმილიც იცი?!

— მაშ, ბებუკუნა! ერთი შენთვის და ერთიც საზოგადო გამოსვლისთვის!

-- აი შე კუდრაჭელა, შენა! ვინ გასწავლა ეგენი...

ამდროს ეკლესიის ზარის ხმა მოისმა, ბებია შეკრთა და წამოხტა — დროა, დროა წასვლისა... სუყველაფერი მზადა გაქვს? ფანქრები, მოლბერტი? სად არის ყუთი ნახატებისთვის? ძნელია, ყველაფერზე ზრუნვა — უეჭველია დაავიწყდება ის, რაც ყველაზე უსაჭიროესია. ახლა წადი...

და ბებია მოქანცული ხვნეშით დაეშვა ძველ სავარ-
ძელზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არ მაკოცებ, ჩემო ჭრიანტელო?

ბებია შვილი-შვილი გადეხვივნენ ერთმანეთს,

მზე მხიარულად იჭვრიტებოდა ღია კარ-ფანჯარაში. ალინამ საღებავების ყუთი იღლიაში ამოიდო, მოცინარ ლამაზ ალისფერ ტუჩებამდე ჩამოიწია თეთრი პირბადე და ამაყად, გაბედულად გავიდა სახლიდან: „ვნახოთ რას იტყვიან ჟიურის წევრნი“.

ბებია მარტო დარჩა; იმის აღელვებული გული დამშვიდდა: „ყვავილის დახატვა არ გაუჭირდება! სამი ათასი ფრანკი დიდი ფულია. რომ იცოდნენ რა რიგ უვლით ბაღჩას, რა რიგ ვუფრთხილდები ჩვენ ვარდებს, როგორ აღაფრთოვანეს ალინა ამ მშვენიერმა ვარდებმა! რომ იცოდნენ როგორი საჭიროება აქვს ორ ქალს იმ სამი ათას ფრანკისა, რომ იცოდნენ—მთელი ჩვენი ცხოვრება იმაზეა დამოკიდებული“...

სწორედ მართალი იყო ბებიის მოსაზრება. სამი ათასი ფრანკი გარდა იმისა რომ კარგი საჩუქარი იყო მოუტანდა ამათ პატივს და დიდებასაც... ნიჭიერ მხატვრად ცნობილ ალინას მთელ მხარეში გაუვარდებოდა სახელი. იმისი ნათელი, კოპწია, ცისფერი კრეტონით გაკრული, სახელოსნო აივსებოდა მოწაფეებით. საჩუქარი მარტო სიმდიდრეს კი არა დიდ ბედნიერებას მოუტანდა ყმაწვილ ქალს!

საღამოზე ალინა დაღვრემილი დაბრუნდა.

— შენ როგორლაც შეწუხებული ხარ?—ჰკითხა ბებიამ.

— ნუ თუ არ მოიწონებენ შენს ნახატს!

— შეიძლება. მოდელი კი მშვენიერი იყო. ის იყო უშველებელი მშვენიერი ვარდი ახალად მოწყვეტილი... ხომ იცი რარიგ მიყვარს ვარდები! ჩემის აზრით, მშვენივრად დავხატე და სწორედ შეუცდომლად, მაგრამ ზედამხედველმა არც ერთხელ არ შეხედა ჩემს ნახატს. მე მეცხრე ნომერი მერგო. სხვა ნომრებს კი თვალს სიამოვნების ღიმილით ადევნებდა, დაჰყურებდა, მეტადრე 34 №-ი მეტად იზიდავდა იმის გულისყურს. მე ძლიერ მწყინდა. თვალები ცრემლებით მქონდა სავსე!

ბებია შეშფოთდა.

— ნუ სულელობ! დაბძანდი ჩემო მშვენიერო, ძვირ-

ფასო და ვივახშმოთ. მე დღევანდელი დიდი დღისთვის არა-ფერი დავზოგე და მსუქანი მწყერები მოგიმზადე, შენი საყვარელი, გემრიელი მწყერები! რაც შეეხება ჭენ-ზედა მხედველს, ის ერთი ჩერჩეტი თუა, თორემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როცა მე სურათის ხატვა გავათავე, სხვებიც ბევრნი დადიოდნენ ჩემ მხარეს, მაგრამ არავინ ყურადღება არ მამაქცია.

და მარგალიტივით ცრემლი დაეკიდა გრძელ წამწამზე და დაჩრდილა ალინას მშვენიერი, ნათელი თვალები...

— მე შემზიზღდა მეცხრე ნომერი. ვგრძნობ რომ უნიქო ვარ.

— შეექეც კრემს, ძვირფასო! შენი ვარდი ისეა დახატული, რომ თვით მეფეც კი დაიხრიდა თავს იმის საყნოსველად, შენ მიიღებ „საჩუქარს", ნუ სტირი!.. სამი ათასი ფრანკით ჩვენ ვიყიდით მთელი ზამთრის სამყოფ სურსათს და შენ კი მოგელის დიდება და პატივი მთელს ჩვენს მხარეში. მოიწმინდე თვალები! თორემ გავჯავრდები. იჰ! ის ჟიურია, თუ რაღაცა, მე უჩვენებ იმათ სეირს, მხეცები! ვინ იყვნენ?

— ერთი იმათგანი კაროლიუს დიურანი, მეორე ბატ. პრეზიდენტი, ბეკოხელი, მხატვარი დეფელიო, ბატ. პრად— მებაღე; სხვებს არ ვიცნობ.

— მე მოველაპარაკები იმათ!

— ოჰ! რას ამობ! ისინი ხვალ დილით შეიკრიფებიან კიდეც; საჩუქრებს დანიშნავენ.

— შენთვის უეჭველად.

— არა! მე ვიცი ვისაც ერგება! უსისხლო, ფერმკრთალ ვარდს, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა სუყველა დამსწრე ბატონები. ის დახატა ერთმა ლამაზმა ქერა ქალმა, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა. ბატ. ფელიუმ აღტაცებით ტაშიც კი დაუკრა.

— შენი თავი სავსეა, სისულელით და ათას დაუჯერებელ ამბებს ბოდავ და ღელავ! როდესაც ბ. ფელიუ დღის შუქზე დაინახავს შენ ნახატს, ხელები კი არა გულიც აუჩქროლდება! ახლა-კი უკვე გვიან არის და სჯობს დავიძინოთ!

მეორე დღეს, ათ საათზე, დიდ ფანჯრებ გაღებულ დარბაზში ბატონნი ჟიურიჩ წევრნი შეიკრიბნენ. ორმოცდა

ათი სურათი უნდა შეეფასებინათ. გადაათვალიერეს (თუ არა 15 სურათი უვარგისათ იცნეს. შემდეგი 20 საშუალოდ, შემდეგი თხუთმეტიდან გადაარჩიეს შვიდი და ბოლოს, შვიდიდან დასტოვეს საჩუქრის ღირსად მხოლოდ სამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლბერტებზე გამწკრივებული იყო სამი მშვენივრად ნახატი ვარდი. თითქმის სამივე ერთნაირად იყვნენ ღირსნი დაჯილდოვებისა; მაგრამ ერთნაირი აზრისანი არ იყვნენ; ზოგის თვალში ამას რაღაც აკლდა, ზოგისაში კი იმას...

— აქ რომ ყოფილიყო ბატ. კარლიუსი, ის უთუოდ 22 ნომერს აკუთნებდა საჩუქარს.

— ნახატი სრული არ არის, — მიუგო თავჯდომარემ. — მეცხრე ნომერი ძლიერ სადა სტილიო არის დახატული; თითქო ნამდვილი—ბუნებრივია. მეთვრამეტე უფრო ცოცხლად არის დახატული და მეც ამას ვაძლევ ჩემ ხმას.

მებაღე ჩუმად იჯდა. წელში მოხრილი, ხელებით მუხლებზედ დაყრდნობილი დაკვირვებით დასცქეროდა სამთავე ნახატს.

— სამივე სურათი მშვენიერია—აღტაცებით ამბობდა ბ. ფელიუ და მგონი ერთი საჩუქარი უნდა გაიყოს სამად.

ამ დროს გაღებულ ფანჯრიდან შემოფრინდა თეთრი პეპელა და დააჯდა ერთ ვარდს და ფეხებით ჩაიფლა ჯერ ისევ სველ ფერადებში.

მებაღე წამოხტა, წელში გაიშალა.

— მე ხმას ვაძლევ მეცხრე ნომერს, —სთქვა იმან დაბეჯითებით.

საჩუქარი მიუსაჯეს მეცხრე ნომერს.

ვერავინ გაუბედა შეჯიბრებოდა პატარა ლამაზ მწერს, რომელიც საუკეთესო მსაჯული აღმოჩნდა.

ეკ. გაბაშვილი.

ივანიკას ჯავრი.

(გასართობი).

ივანიკა ბრაზიანი კაცი იყო. საქმე რომ თითონ წაეხდინა, მაინც თავის შვილს გაბოს დააბრალებდა, გაუჯავრდებოდა და ხშირად კიდეც სცემდა უდანაშაულო ბავშვს.

ერთხელ ივანიკა ურმით ტყეში წავიდა შეშის მოსატანად, შვილი კი წისქვილში გაგზავნა პურის დასაფქვავად.

ივანიკამ შეშა მოსჭრა, დაუდო ურემზე და შინისკენ წამოიღო.

გზაში ერთს ადგილას ტინებიანი დაღმართი იყო. გაუფრთხილებლობით იქ ურემი გადაუბრუნდა და ხარს ფეხი მოუტყდა.

ივანიკა ძალიან შეწუხდა, მით უმეტეს—რომ მისივე დანაშაული იყო. ბოლმა ახრჩობდა; არ იცოდა, ვისთვის დაებრალებინა თავის მარცხი და ჯავრი შეემსუბუქებინა.

ასეთი სამიზეზო რომ ვერავინ ნახა, ბოლოს გულის გასაქარვებლად ეს ღა სთქვა ამოკვნესით:

— ახ, სადა ხარ, შვილო გაბო, რომ შენ არ დაგაბრალებ გაფუჭებულს საქმეს და ერთი კარგადაც არ გაგსახრავ ჯავრის ამოსაყრელადო...

დ. ნახუცრიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარადა.

(წარმოდგენილი ვანო ჭიჭინაძისაგან)

პირველად ორი ასოა,
„გ“ და „უ“ ზედ მიწყობილი;
მის მერმე ერთი სიტყვაა,
შოთასგან ასე ხმობილი:
„კრულია ყველა კაცისთვის
ხარბი და გაუძღომელი“,
მისი ამყოლი დალუპვას
ვერ ასცდა ვერა რომელი.
სულ ყველა, ერთათ ფრინველი
გაზაფხულს გადმოფრინდება;
გალობა იმან არ იცის,
არცა არავის გვჭირდება:
გაჰკივის სოფლის მახლობლად
მაღალ ხმით მაღალ მყვირალი.
მე ბევრჯერ სოფლად მინახავს
ჩიტები მისგან მტირალი:
თითონ შობს, სხვას აზრდევინებს
პაწაწკინტელა შვილებსა;
ასეთსა ცულლუტობაში
მას ვერვინ გააწბილებსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი ალ. თომაშვილის მიერ).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ

ჭ

მ

, და

, უწყ

ს

რა ედება ძველ პურს?

ე ნათესიდან
, რას
ნ მოველით?

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი

სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის რედაქტორობით გამოვიდა და ბეჭდება შემდეგი საბავშვო ჟურნალები და წიგნები.

მცირეწლოვანთათვის

1. „ნაკადული“ 1921 წ. № № 1, 2, 3, 4, 5 თითო წიგნი . . . . . 8.000 მ.
2. „ნორჩი ძალა“ კრებული . . . . . 10.000 „
3. „სამი ამბავი“—ლექსები შიო მღვიმელისა . 8.000 „
4. „კოკროჭინა“ დ. დონდუასი . . . . . 5.000 „
5. „ბელა ბეკეკა“ „ . . . . . 5.000 „
6. „შემოდგომა—ფერად სურათებიანი წიგნი . 45.000 „
7. „ნაკადული“ 1922 წ. № 1 . . . . . 8.000 „

მოზრდილთათვის

8. „ჯეჯილი“ 1921 წლ. № 1 . . . . . 10.000 „
9. „თავისუფალ ბავშვთა სიმღერები“, ლექსთა კრებული . . . . . 2.000 „
10. ქართ. მოძრავი თამაშობანი—შედგენილი გ. მერკვილაძის მიერ . . . . . 25.000 „
11. ტროადის ომი—ალ. მიქაბერიძისა . . . 70.000 „
12. ნოტები—საბავშვო ინტერნაც. სიტყვა-ხმა შეწყობილი—ფოცხვერაშვილის მიერ . . 1.000 „
13. „ჯეჯილი“ 1922 წ. № 1 . . . . . 10.000 „

მისამართი: ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5 სახალხო განათლების კომისარიატი. სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის **სალიტერატურო სამხატვრო სექცია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1922 წელს

გამოვა საუმაწვილო დასურათებული ჟურნალები

მოზრდილთათვის **„ჯეჯილი“** მე-XXXIII წ.

მცირეწლოვ. **„ნაკადული“** მე-XVII წ.

ჟურნალები გამოდის სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობასთან არსებულ სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობით.

ხელის მოწერა მიიღება ორივე ჟურნალზე ყოველ თვიურად

და ღირს 15 ათასი მანეთი.

სასწავლებლებს დაურიგდებათ უსასყიდლოთ.

მისამართი: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, სახალხო განათლების კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

ნ. დ. ს. ც. თბილისი, 1922 წ. № 356 ტირაჟი 3000